№ 2955
კვირა,
20 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2955
კვირა,
20 ნოემბერი

ეროვნული
ბი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ? ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა' ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა. არის
დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და ლოძის? სავაჭრო სახლიდან.
მიიღება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—ნ.—33)

ამა წლის პირველ დეკემბრიდან გამოვა
ყოველდღიური სოციალდემოკრატიული გაზეთი
„სხივი"
ჩვენი გაზეთი კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების ორგანოა. რევოლიუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის კედელი შეანგრია და მთელ რუსეთს სიტყვის თავისუფლება მიანიჭა. ის ახლა სარგებლობს ამ ახალ იარაღით, რომ მით კიდევ უფრო გაამაგროს თავისი პარტია, სოციალდემოკრატია, და მედგრად გასწიოს წინ თავის მიზნისაკენ.
„**სხივი**" წელიწადში ღირს 6 მანეთად, თვეში 50 კ., თითო ცალი 3 კაპ.
რედაქციის დროებითი ადრესი: „**მოგზაური**"-ს რედაქცია, ნიკოლოზის ქ., № 44.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა ავლაბრის თეატრში.
კვირას, 20 ნოემბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
მეზობლები
სცენები სოფ. ცხოვ. 4 მოქმ. ტრ. რამიშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლექავა, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს, სვიმონიძე, ზ. საფაროვი, ი. ქივიძე, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, ჯაყელი.
წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.
ადგილების ფასი 10 კაპ. 1 მან. 20 კაპ.
ხუთშაბათს სახაზინო თეატრში ვ. აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ი. გომართლის ახალი პიესა „ქოხში".
რეჟისორი ვ. გუნია.

ამ წლის დეკემბრიდან
გამოვა ყოველ დღიური სრული პროგრამიანი
პატარა
გაზეთი
2 კაპ.
პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც გმობს ერთობას
პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც სთრგუნავს თავისუფლებას
პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც ღალატობს ძმობას
დაბარება შეიძლება { ერთის წლით 3 მან. / ნახევარის წლით 2 მან. / ცალკე ნომერი 2 კაპ.
რედაქტორი ვ. მანანაშვილი. გამომცემელი ბ. მესხი.
ვინც ამ თავით დაიბარებს, დეკემბრის ნომრები მუქთად დაურიგდებათ.
ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Домъ Дворянства, Редакція „Патара Газети".

ქართველ მასწავლებელთა კრება

ორშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს 7 საათისთვის სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართველ მასწავლებელთა კრება. კრებას აზრადა აქვს დაარსება ქართველ პედაგოგთა საზოგადოებისა, რომელმაც ახალის პროგრამით ქართული სკოლა უნდა მოაწყოს. ძლიერ სასურველია, რომ ყველა პედაგოგები დაესწრნენ კრებას. (უ. 2—2)

ტფილისის სახაზინო თეატრი
სამშაბათს, 1905 წ. 22 ნოემბერს
ქართულ ოპერების მმართველ ამხანაგობის მიერ
დაზარალებულ მუშების სასარგებლოდ
წარმოდგენილი იქნება
I
სევილიელი დალაქი
ოპერა 3 მოქ. და 4 სურათ. მუსიკა როსსინისა, თარგმანი ვ. გუნიასი
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მიტკევიჩისა, ბაქრაძე; ბ-ნნი: არჩეული, ცხომელიძე, აგასი, კარგარეთელი, ჯაფარიძე, მეიფარიანი.
II
საკონცერტო განყოფილება
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა კარრი, ბ-ნნი: დონსკოი, კოლოტოვი, სოკოლსკი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო.
ბილეთების წინდაწინვე ყიდვა შეიძლება „ვოზროჟდენიე"-ს რედაქციაში და ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში, 20, 21 და 22 თეატრის კასაში.

ივ. გომართელის ახალი პიესა
„ქოხში"
წარმოდგენილ იქნება ვასილ აბაშიძის საბენეფისოდ
ხუთშაბათს, 24 ნოემბერს. (1—1)

კვირას, 20 ნოემბერს
დილის 10 საათ. ნაძალადევში დანიშნულია

სახალხო მიტინგი

რადგან ამჟამათ ქ. განჯაში სომეხ-თათართა ჟლეტაა, დღევანდელი მიტინგი ნაძალადევში განიხილავს საკითხს მხოლოდ **ხოცვა-ჟლეტის პროვოკაციაზე**. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ორგანიზაციასა და ეროვნებას გამოცხადდეს ამ მიტინგზე. შემდეგი მიტინგი 21 ნოემბერს.

ტფ. ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

ა. პ. შულგინა-მესხი
გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ.
(თვ.—406—25)

ტფილისი, 20 ნოემბერი.

ისევ სისხლის ღვრა.

კვლავ მოგვესმა საზარელი ხმა სომეხ-თათართა ჟლეტის შესახებ! კვლავ იღვრება ჩვენის მეზობლების სისხლი მტრის გულის გასახარებლად და ქვეყნის ისედაც მძიმე მდგომარეობის გასაძნელებლად! გაცრუვდა იმედი, რომ სომხებიცა და თათრებიც გონს მოვიდნენ და რომ მათმა საუკეთესო ნაწილმა მოახერხა მშვიდობის ჩამოგდება, მოახერხა გამხეცებულ ბრძოლის მოსპობა. თურმე დროებითი სიჩუმე ჩამოვარდნილა, თურმე მხოლოდ გარეგანი მყუდროება გამეფებულა…

რა ეშველება ამ საერთო უბედურებას, რომელიც ესოდენ აბრკოლებს ჩვენის ქვეყნის განმათავისუფლებელ მოძრაობას?! ნუთუ არავითარი საშუალება არაა, რომ ამ ერთა ბრძოლა მშვიდობიანს კალაპოტში ჩაღვეს, რომ მოისპოს ეს უაზრო სისხლის ღვრა, რომლით ეროვნულ ანგარიშების გაწმენდა არ შეიძლება?!

ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ კავკასიის **მშრომელ ხალხთა** შორის დამყარდება სრული სოლიდარობა. რომ ყოველი ნაბიჯი პროგრესსის გზაზე გვიახლოვებს იმ ჟამს, როცა კავკასიის ერთა შორის დამკვიდრდება ნამდვილი ძმობა და ერთობა, რადგან ამას მოითხოვს საერთო ინტერესი, რადგან უამისოდ არავის აღარ დაგვედგომება ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ეს მომავლის საქმეა, დღეს კი რა ვქნათ? ნუ თუ არავითარი ღონე არ გამოიძებნება ჟლეტა-ხოცვის შესაწყვეტად იმ დრომდე, სანამ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები არ შეიკრიბებიან თავისუფლად საერთო საქმეზე მოსალაპარაკებლად და ახალ კანონების შესამუშავებლად?!

ერთად-ერთი ღონე, ერთად-ერთი საშუალება, ჩვენის ფიქრით, იგივეა, რასაც მთელის რუსეთის მოწინავე ელემენტები მოითხოვენ: დაუყოვნებლივ ხორცი შეესხას 17 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ძირითად კანონებს, დაუყოვნებლივ დამყარდეს საკონსტიტუციო გარანტიები, რომელიც ცოტად თუ ბევრად მოგვანიჭებენ უფლებრივს წესწყობილებას. ამისთვის-კი საჭიროა დაუყოვნებლივ გამოიცვალოს მთელი აწინდელი ადმინისტრაცია. ამას, თვითმპყრობელ ბიუროკრატიის საწამლავით გაჟღენთილს ადმინისტრაციას, არ ძალუძს უფლებრივ წესრიგის დამყარება, აღარ ძალუძს უბრალო წესიერების დაცვაც-კი. ყველა ეს ალფტანგები, თაყაიშვილები, ფადეევები, რომელთ არაფერი გაეგებათ ხალხის დღევანდელ სულის კვეთებისა, მხოლოდ ამწვავებენ მდგომარეობას; მათ მხოლოდ ტყვიის მტყორცნელებისა და მათრახების ძალა სწამთ და არა ხალხის უფლებრივ მდგომარეობისა.

დღევანდელ რუსეთის ბიუროკრატიამ მხოლოდ პროვოკაციის ძალა იწამა და შექმნა მთელი სისტემა პროვოკაციულ მოქმედებისა. ნიადაგი მზად იყო: დიდხანს მონობასა და უმეცრებაში მყოფ ხალხში მოიძებნა ელემენტები, რომელთა წაქეზება ადვილი შეიქნა და.. დაიღვარა სისხლი ებრაელებისა, სომხებისა, რუსებისა, თათრებისა, ქართველებისა. მთელი რუსეთი შეიღება სისხლით, კავკასიას ცეცხლი მოედო, აქ, ჩვენს ქვეყანაში, სადაც სხვა და სხვა ერი ცხოვრობს და ბევრი სადავო ინტერესებია, მთავრობის პროვოკაციულ მოქმედებას განსაკუთრებით ფართო ნიადაგი გაეშალა: და აი, ნაყოფიც!..

უბედურებას თავიდან ვერ ავიცდენთ, სანამ სათავეში დღევანდელი პროვოკაციული მთავრობა სდგას. არავინ არ არის უზრუნველყოფილი, რომ ხვალ, ზეგ უარესი ტრაგედია არ დატრიალდეს, იმიტომ რომ თვითმპყრობელ ბიუროკრატიას არ სურს პოზიციის დათმობა და ჰგონია, რომ ხალხის ერთმანეთზე მისევით, ერების გადამტერებით ფონს გავა. მაგრამ, ვაი ასეთ ტაქტიკას: ცხადია, რომ ამავე სისხლის მორევში თვით ეს პროვოკაციული ბიუროკრატია დაიხრჩობა.

მაშასადამე, დღევანდელი მომენტი მოითხოვს ყველა განმათავისუფლებელ ელემენტების შეერთებას და კიდევ ერთის მედგარის იერიშის მიტანას, რათა დაიმხოს პროვოკაცია, დაიმხოს ის ელემენტი, რომელსაც არ შეუძლია 17 ოქტომბრის დაპირების განხორციელება. უამისოდ მოქალაქობრივი ცხოვრება არ დადგება და სისხლის ღვრა არ შესწყდება.

* * *

რევოლიუციის განვითარება.

რევოლიუცია მხოლოდ ძველი რეჟიმის დანგრევა, გამეფებულ წესწყობილების აღგვა არ არის. რევოლიუცია ერთის ხელით თუ გამანადგურებელ ცეცხლს და მახვილს ატრიალებს, იმისი მეორე ხელი შემოქმედებითს მუშაობაშია და საზოგადოებრივ ცხოვრების გაუქმებულ ფორმათა ნაცვლად მსწრაფლ ახალს ფორმებს ამეფებს. ვისაც საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც რეალური დასკვნა სახელმწიფოს ძირითად კანონებისაგან, ვისაც არსებულ წესწყობილების რეალურ წყაროდ ეს ძირითადი კანონები მიაჩნია, იმის თვალში სარევოლიუციო მოძრაობა პრინციპიალურად ორ ნაწილად, ორ ტომად იყოფა: პირველი ძველ წესების განადგურებაა და დამფუძნებელ კრების მოწვევამდე გრძელდება, მეორე ახალის წესების შექმნაა და დამფუძნებელ კრების მოქმედებით იწყება.

ეს შეხედულება ჩვენ ღრმა და მეტად სახიფათო შეცდომად მიგვაჩნია. სახელმწიფოს საზღვრებში მშვიდობიანობის დროს ყოველი წვრილმანი, ყოველი უბრალო ფორმა საზოგადოებრივობისა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთლად საზოგადო ცხოვრების კანონებთან და ამიტომ ძირითადი კანონები ჩვეულებრივს, გულუბრყვილო შემეცნების პატრონს არ შეუძლიან სხვა გვარად წარმოიდგინოს, თუ არ საზოგადოებრივობის რეალურ წყაროდ. სწორედ ესაა მიზეზი, რომ სარევოლიუციო მოძრაობა ჩვეულებრივ დამფუძნებელ კრების მოთხოვნით იწყება, რომელიც ნამდვილ თილისმურ საშუალებად მიაჩნიათ განახლებისთვის: დამფუძნებელი კრება ახალს ძირითადს კანობებს შეიმუშავებს და იმათგან დასკვნილი ფორმები საზოგადოებრივობისა ბუნებრივად დაიჭერს ძველ ფორმების ადგილსაო,—აი, ამ სანეტარო და იდილიურ იმედით ხელმძღვანელობენ ხოლმე დამფუძნებელ კრების მომთხოვნელნი რევოლიუციის დასაწყისში.

ძირითადი შეცდომა რევოლიუციის ამ გულუბრყვილო შემეცნებისა იქაა დამარხული, რომ ეგრედ წოდებულნი კანონები **რეალურად** კი არ არიან შეკავშირებული საზოგადოების სხვა და სხვა ფორმებთან, არამედ **ლოღიკურად**. გონებითი სისტემა სახელმწიფოს ცხოვრებისა, ესე იგი სახელმწიფო კანონმდებლობა სათავეში საერთო პრინციპებს, „შეურყეველ კანონებს" აყენებს და იქიდან **ლოღიკურად** დასკვნის ცხოვრების მრავალფეროვან ფორმებს; ამიტომ პირველი ტომი, პირველი ნაწილი კანონთა კრებულისა აუცილებლად ძირითად კანონებს უკავია, მაგრამ ცხოვრების ფორმათა ამ გვარი სისტემატიზაცია ამ გვარი დალაგება მხოლოდ ლოღიკური გამოხატულებაა, ლოღიკური შომუშავებაა სინამდვილისა და არა თვით სინამდვილე.

რეალურად „ძირითადი და შეურყეველი საფუძველნი და კანონები" სახელმწიფოსი თითონ წარმოადგენენ დასკვნას საზოგადოებრივობის ფორმათაგან, თუმცა კი ლოღიკურად, პირიქით, ისინი დასაბამის სახით გამოიცქირებიან, საზოგადოებრივობის ფორმები კი დასკვნად. რეალურად, საზოგადოებრივობის მრავალფეროვანი ფორმები კი არ წარმომდინარეობენ ძირითად კანონებისაგან, პირიქით, სწორედ თვით ეს ძირითადი კანონები წარმოსდგებიან საზოგადოებრივობის ფორმებისაგან. იმიტომ კი არ იმართება აღებ-მიცემობა ბაზარზე, რომ კერძო საკუთრება ძირითადი კანონია სახელმწიფოსი, პირიქით—კერძო საკუთრება იმიტომ ითვლება ძირითად კანონად, რომ ყველა ბაზარზე აღებ-მიცემობა სწარმოებს. ჩვენი აზრი რომ უფრო ნათლად გამოიყურებოდეს, მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: რკინეული რამ ნივთი რომ ცეცხლში ჩავაგდოთ, იმისი სივრცე იმატებს, **რადგან** სითბოსაგან ყველა საგანს სივრცე ეზრდებაო—ვამბობთ ჩვენ, მაგრამ ეს სრულიად იმას არ ჰნიშნავს, ვითომც რკინეულ ნივთს სივრცე **იმიტომ** ემატებოდეს, რომ ფიზიკის შეურყეველი კანონი ჰმოქმედებდეს, რომლის ძალითაც სითბომ სივრცე უნდა გაზარდოს, პირიქით, თვით ეს კანონი მხოლოდ **იმიტომ** არსებობს, მხოლოდ იქიდან წარმოსდგა, როგორც დასკვნა, რომ რეალურად როგორც რკინეულის, აგრეთვე ყველა სხვა საგნის სივრცე ცეცხლის თუ სხვა რამ მიზეზით გათბობასთან ერთად მატულობს. როგორც ბუნების კანონები, აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრების ძირითადი პრინციპები ლოღიკურად პირველნი და დასაბამნი არიან, რეალურად-კი უკანასკნელნი და დასკვნანი.

აქედან ცხადია, როგორ ვუყურებთ ჩვენ დამფუძნებელ კრების მუშაობას. დამფუძნებელ კრებას თავისთავად შემოქმედებითი ნიჭი არა აქვს, ის მხოლოდ ფრჩხილებს გარეთ გამოიტანს საზოგადოებრივობის ფორმებისაგან საერთო თვისებებს, ის მხოლოდ ლოღიკურად შეიმუშავებს, რაც უკვე შექმნილი იქნება ცხოვრების კალოზე, ის მხოლოდ იურიდიულ სანქციას მისცემს იმ გარდაქმნას, რომელსაც სარევოლიუციო მოძრაობა მოახდენს. კანონები, სულ ერთია თვითმპყრობელ მეფისაგან გამოიცემიან თუ ხალხის წარმომადგენლებისაგან, მუდამ და მხოლოდ იურიდიული გამოხატულებანი არიან საზოგადოებრივის ურთიერთობისა, ამაზე შორს, ამაზე იქით ისინი ვერასოდეს ვერ წავლენ. ამიტომ ჩვენ მოზიარე არა ვართ იმ საზოგადოებრივ წრეებისა, რომელთაც ჰგონიათ, რომ საკმაოა დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქმნას, რომ რუსეთის ცხოვრება დამშვიდდეს, დაწყნარდეს და ეგრედ წოდებულ ნორმალურს კალაპოტში ჩავარდეს, ე. ი. რევოლიუცია მოისპოსო.

ცხადია, ჩვენ ვერც იმ შეხედულებას მივემხრობით, რომელიც რევოლიუციას ორ ნაწილად ჰყოფს: განადგურებად და შემოქმედებად. რომელთა შორის თითქოს საღაც კედელს აშენებს დამფუძნებელ კრების სახელწოდებით. ჩვენის აზრით, ვიდრე სარევოლიუციო ენერგია თითონ არ შეჰქმნის საზოგადოებრივობის ურთიერთობისათვის ახალ ფორმებს, ვიდრე მთლად არ დამზადდება მასალა ახალის ცხოვრებისა და იმისთვის საჭირო არ შეიქმნება სანქცია, დამფუძნებელი კრება მხოლოდ გააძლიერებს რევოლიუციას, მხოლოდ მეტს მთლიანობას შეიტანს იმის განვითარებაში და ხელს შეუწყობს ანარქიას...

ანარქია თავზარდამცემ სიტყვად არის გადაქცეული, ანარქიის დაუძინებელი მტერია არა თუ ძველი რეჟიმის მოტრფიალე წრეები, არამედ ის სოციალისტური მიმართულებაც, რომელსაც სოციალდემოკრატიის სახელით ვიცნობთ. მაგრამ შიში სიკვდილისაგან ვერ იხსნის კაცს და, შეიძლება მოგვწონდეს, შეიძლება გვძულდეს, მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ რუსეთში ანარქიაა გამეფებული. ცენტრალიზმის გონებრივ ყმებს ისე დაკარგული აქვთ ნდობა ხალხის ვართო წრეებისადმი, რომ იმათს თვალში ანარქია და სიკვდილი ორივე ერთია. პირიქით, ვისაც გულში ჭეშმარიტად უღვივის აზრი, რომ ხალი საერთოდ კეთილ-გონიერ შემოქმედების ნიჭის მატარებელია, იმას ანარქიისა არ შეეშინდება, პირიქით, იმისი იმედი სწორედ იმაზე იქმნება დამყარებული, რომ ანარქისტული დუღილი ბოლოს და ბოლოს აუცილებლად შეჰქმნის გაცილებით უკეთესს წესწყობილებას, ვიდრე ის რეჟიმი, რომელიც ამოდენა ხანს უხუთავდა სულს მშრომელ ხალხს.

ანარქია ყოველგვარ ავტორიტეტის და ბრძანებლობის სრული უარყოფაა. ანარქია ბრძანების ნაცვლად თანხმობის და სოლიდარობის პრინციპს აყენებს და თავისუფალ შეთანხმებით სცდილობს გაავსოს ის ადგილი, რომელიც წინად კანონებს, უკაზებს და განკარგულებებს ეჭირა. თავისუფალი კავშირი—აი, დედა აზრი ანარქიისა, და განა დღევანდელი რუსეთი კიდევ სხვა რამ პრინციპს სცნობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისუფალ კავშირის გარეშე? ანარქიის დევიზმა სახელმწიფო მოხელეებიც კი გაიტაცა, მათ შორისაც კი დაარსდა თავისუფალი კავშირები, რომელთა ძლიერებაც ყველა მინისტრების სასტიკს ბრძანებაზე ულონიერესი აღმოჩნდა... მოიგონეთ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირი და იმისი მოქმედება.

ცენტრალიზმის გულწრფელი და არა პირმოთნე, პირდაპირი და არა მხოლოდ სიტყვიერი დამცველნი, გრაფი ვიტტე და მი-

სი დამქაშნი შეძრუწუნებულნი უცქეროდნენ სახელმწიფო მოხელეთა შორის დაარსებულ თავისუფალს კავშირს, რადგან კარგად ჰხედავდნენ, რომ ეს კავშირი უსაშინელესი მტერია ცენტრალისტურად მოწყობილ სახელმწიფოებრივ მანქანისა, მაგრამ ხალხი, საზოგადოების ფართო წრეები თავის ერთგულ თანაგრძნობას უცხადებდნენ და უცხადებენ ამ კავშირს, რადგან ხალხს ინსტიქტიურად სწამს, რომ მხოლოდ თავისუფალ კავშირების თავისუფალი შეთანხმება შექმნის იმ წესწყობილებას, რომელნიც ბოლოს და ბოლოს ბუნებრივად მიიღებს დამფუძნებელ კრებისაგან იურიდიულს სანქციას.

რევოლიუციის განვითარება ანარქიულად სწარმოებს, რამდენადაც კი იგი შემოქმედებით ძალაა და არა გამანადგურებელი. რევოლიუცია მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც ეს ანარქიული მდგომარეობა შექმნის, ყალიბში ჩამოასხამს ახალ ფორმებს ურთიერთობისას, მანამდე კი ვერც გრაფი ვიტტე, ვერც სახელმწიფო სათათბირო და ვერც დამფუძნებელი კრება რევოლიუციას ვერ ჩააქრობს. რევოლიუცია ჯერ მხოლოდ განვითარების პირველს ხანაშია, იმისი მიზანი—თავისუფლება და თანასწორობა ჯერ კიდევ დასაპყრობი და შესაძენია.

ვ. ვ.

თავისუფლების მონოპოლია.

„ქალაქისა და ერობის მოღვაწეთა“ კრებაზედ მოსკოვში ვიღაც გუჩკოვმა, მოსკოვის ქალაქის თავის კანდიდატად დასახელებულმა, რომელსაც, სხვათა შორის, გრაფმა ვიტტემ სთხოვა თავის კაბინეტში მინისტრობა, სულმა და გულმა მემარჯვენე კონსერვატიულ პარტიისამ, განაცხადა, რომ იმის პარტიის პროგრამმა არა სურს აწყოს არც ერთს მოსკოვის ასოთამწყობს. საქმეა, აწყობს თუ არა რომელიმე ამწყობი რუსეთისა. პარტია იძულებულია აწყოს ან საზღვარ-გარეთ ან საიდუმლო სტამბაში. არა, დანაძლევება შეიძლება, რომ ამ პარტიის პროგრამას წარწერით: „რა სურს ხალხს, რომელიც დადის სამფეროვან დროშებით“? აწყობენ ჩვენი ასოთამწყობნიც-კი... ოღონდ-კი ამ პროგრამამ იგულისხმოს პატიოსანი მოქმედება, ოღონდ-კი იმაში გატარებული იყოს სალი პრინციპები, ოღონდ-კი დაამტკიცოს, რომ „წესიერების“ სურვილი გულწრფელია“.

ეს სიტყვები ამოვიკითხე გუშინდელ „ვოზროჟდენიეს“ ნომერში და გავკვირდი. გაზეთი, რომელიც ღაღადებს სიტყვისა და წერის თავისუფლებას, ღიმილით აღნიშნავს, რომ მოსკოვის ასოთამწყობებმა არ ისურვეს კონსერვატიულ პარტიის პროგრამმის აწყობა! გაზეთი, რომელიც სასტიკად ჰკიცხავს სიტყვის და წერის ჯალათებს, ემხრობა იმათ, ვისაც სურვებია ახალ ჯალათის როლის შესრულება! განა იმიტომ იბრძვის ხალხი, რომ თავისუფლება მოიპოოს რომელსამე ჯგუფს და არა ყველას? განა თავისუფლება, ძვირფასი, სანატრელი თავისუფლება, მონოპოლიაა ვისიმე?

მაშ რად ვყვიროდით, რად ვრისხდებოდით, რად გვემღვრეოდა გული, როდესაც თვითმპყრობელი მთავრობა მხოლოდ თავის მონოპოლიად ხდიდა თავისუფლებას, რად ვეძახდით მთავრობის თავისუფლებას, თვითნებობას? რად გვეწოდა გული, რად ვიტანჯებოდით, როდესაც მთავრობის ბრძანებით ცენზორები ენას გვგლეჯდნენ, აზრს გვიმახინჯებდნენ, ტანჯვით შობილ ფიქრს წითელ მელნის სამარეში მარხავდნენ? რა უფლებით ვკიცხავდით, რა უფლებით ვთხოულობდით თავისუფლებას? მხოლოდ ერთით: „სიტყვა თავისუფალია, როგორც ქარი; არავის არა აქვს უფლება ბორკილი დაადოს ადამიანის თავისუფალ აზრს“.

დღეს-კი რას გვიძახით გაზეთის თავისუფალ ფურცლებზედ: „ოღონდ-კი პროგრამმამ იგულისხმოს პატიოსანი მოქმედება, ოღონდ-კი იმაში გატარებული იყოს სალი პრინციპები, ოღონდ-კი დაამტკიცოს, რომ „წესიერების“ სურვილი გულწრფელია“. ამის მეტს რას ამბობდა თვითმპყრობელობითი მთავრობა? განა სწორედ ეს საბუთები არ მოჰყავდა, როდესაც ატყვევებდა თავისუფალ სიტყვას? ჩვენ მთავრობის საბუთები საბუთებად არ მიგვაჩნდა და სამართლიანადაც, და ეხლა რა დაგვემართა. ვაი თუ ჩვენც მთავრობის პოლიტიკას დავადექით, მაშინ შორს, შორს, სისხლით მოპოებულო თავისუფლებავ. შენ თავისუფლება არა ხარ, მხოლოდ ფერი გამოგეცვალა, გული ძველი დაგრჩა შენ თავისუფლება-კი არა, თვითნებობა ბრძანდები.

მართლაც, აქვს ვისმე უფლება ბორკილი დაადოს სიტყვას? დიახ აქვს, აქვს იმას, ვინც იტყვის: „ჭეშმარიტება ვცან, აი ხელში მაქვსო“? მაგრამ ვინ გაბედავს და იტყვის: „ჭეშმარიტება ხელში მაქვსო?“ ვინ ეტყვის ადამიანის აზროვნებას: „შესდეგ, ნუღარ მუშაობ, რადგან ჭეშმარიტება ნაპოვნია?“ არავინ, ერთის გარდა: თვითმპყრობელისა. ის ითვისებს უკანასკნელ მსაჯულის როლს, იმას ჰგონია თავისი თავი შეუზღუდავ მეუფედ ცხოვრებისა და იმის შინაარსისა. მარტო იმას შეუძლიან სთქვას: „ასე იფიქრე, ასე ილაპარაკე, რადგან მე ვარ, მხოლოდ მე, დამადასტურებელი ჭეშმარიტებისა, და სხვა არავინ“.

თვითმპყრობელის როლი დაუკისრებიათ მოსკოვის ასოთამწყობთ და „ვოზროჟდენიეს“ თანამშრომელს. დიდებულების სიმაღლიდან გადმოიცქირებიან და მსჯავრსა სდებენ: „ეს პროგრამმა იგულისხმებს უპატიოსნო მოქმედებას, მზე არ დაენახვება; ამ პროგრამმაში არა სჩანს სალი პრინციპები, არა ღირს, რომ გავრცელდეს; ამ პროგრამმას გულწრფელობა აკლია, ღირსი არ არის გამოქვეყნებისა.“

ჰეი, თვითმპყრობელნო, ვინ მოგანიჭათ უფლება მსჯავრის დადებისა! ფიქრად მაინც არ მოგივიდათ, რომ შეგიძლიანთ შესცდეთ და სწორედ ვერ განსაზღვროთ, რომელია უპატიოსნო მოქმედება, რომელია სალი პრინციპი, რომელია გულწრფელი პროგრამმა. მაშინ, რა პასუხს [illegible] შთამომავლობას? არა გგონიათ, რომ შთამომავლობა დაგგმობთ ისე, როგორც თქვენ დაჰგმეთ თვითმპყრობელი ჯალათები თავისუფალ სიტყვისა.

ან იქნება გეშინიანთ, როგორც ეშინოდა მთავრობას, თავისუფალ სიტყვისა? იქნება ეჭვი გეპარებათ თქვენ სიმართლეში და ძალით გსურთ დააჯეროთ ყველანი! მაშინ ხომ ბნელ ძალებს უფლება აქვთ, სიმართლეზედ დამყარებული, გებრძოლოთ თქვენ და თანაგრძნობაც მოიპოვონ.

ჭეშმარიტებას, სიმართლეს ვერ დაარღვევს სიტყვის ყუმბარები: ჭეშმარიტებას, სიმართლეს ვერ დააბნელებს სიტყვა, სიბნელის, სიცრუის მღაღადებელი. მაშ რისა გეშინიან? რატომ უღობავთ გზას თავისუფალ სიტყვას; რატომა ეხმარობთ ძალას იმის წინააღმდეგ. სიტყვა, ნათელის გამომხატველი, არ დაიმარხება სიბნელის მღაღადებელ სიტყვების წუმპეში; სიტყვა, ჭეშმარიტების მქადაგებელი, ვერ დამარცხდება სიტყვით, სიცრუის მღაღადებელით.

სრული თავისუფლება სიტყვისა. რისხვა იმათ, ვინც სცდილობს სიტყვას კვლავ ბორკილი დაადოს.

აჯანყება

შავი ზღვის ფლოტისა

სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტი აჯანყებულა. ნაღმოსან და სხვა სამხედრო გემებს, მთელ რუსეთში უკვე ცნობილ ლეიტენანტის პ. შმიდტის მეთაურობით რევოლიუციონური დროშები აღუმართავთ. შმიდტი ფლოტის უფროს ადმირალად აურჩევიათ. აი რას მოგვითხრობს გუშინ ბათუმის გზით სევასტოპოლიდან ჩამოსული ერთი ტფილისელი ვაჭარი ბ-ნი კ. ც.

„ოდესიდან გამოველით „პუშკინის“ გემით 14 ნოემბერს 4 საათზედ. როცა სევასტოპოლის სადგურს მოუახლოვდით, ჯავშნიან გემის „ოჩაკოვიდან“ გვიბრძანეს: გააჩერეთ გემი რეიდთანაო. მგზავრებს თავზარი დაგვეცა, ვიფიქრეთ, რაღაც უბედურება მოგველისო. „პუშკინის“ კაპიტანმა ბრძანება გასცა, გემი უკანვე დაბრუნებულიყო, მაგრამ ინერციით ისევ წინ მისცურავდა. ალბად, ჯავშნიან გემზე იფიქრეს, რომ ჩვენი გემი ბრძანებას არ ასრულებდა, ამიტომ განკარგულება მოახდინეს, (ხმა კარგად გვესმოდა გემზე): „გასტენეთ ზარბაზნები და „პუშკინს“ მიუშვირეთო“. მალე ზარბაზნებმა ჩვენკენ ჰქნეს პირი. ორ სხვა ჯავშნოსან გემიდანაც მოგვესმა: „ღუზა გადააგდეთო“, კაპიტანმა შესრულა ბრძანება და გემი გააჩერა. ამ დროს ჯავშნიან გემს „ოჩაკოვიდან“ ნავით რამდენიმე მატროსი გამოემართა ჩვენსკენ. როცა მოგვიახლოვდნენ, გადმოგვცეს ფლოტის უფროსის პ. შმიდტის ბრძანება, ყველა მგზავრები „ოჩაკოვზე“ გადმოდითო. ბრძანების ასრულებას შევუდექით, მაგრამ ვაი იმ შესრულებას, არც ერთს ჩვენგანს ადამიანის ფერი არ ედო, ყველანი ძალზე შევშინდით. ავედით „ოჩაკოვზე“, მიგვიწვიეს პ. შმიდტის კაიუტაში. როცა შევედით, ბ-ნი შმიდტი მოგვეგება შემდეგის სიტყვით: „ყველას მოგეხსენებათ, რომ რუსეთში ძველის რეჟიმის დასამხობად რევოლიუციაა. ჩვენ გადავსწყვიტეთ, ხელი შევუწყოთ ამ საქმეს. ამ აზრით შევიარაღდით და მოვემზადეთ დიდებულ საქმისთვის. თქვენც მოგიწვიეთ, რომ დაესწროთ შავი ზღვის ფლოტზე რევოლიუციონურ დროშის აფრიალებას“. ერთმა მგზავრმა სთხოვა შმიდტს, გაგვიშვი ჩვენ ჩვენს გზაზე, რომ ხიფათი არა შეგვემთხვეს-რა; შეიძლება ნაპირებიდან სროლა დაგვიწყონო. შმიდტმა გვიპასუხა, „ოჩაკოვზე“ დარჩით, რადგან აქ არავითარი შიში არ მოგელითო. ნაპირებიდანაც არავინ გვესვრის, რადგან ციხის უფროსები დატყვევებულნი ჯავშნიან გემზე გვყავსო. თვითონ ჯარიც რევოლიუციონერთა მხარეზეაო. ერთი ჩვენგანი შეეკითხა, როდის გაგვიშვებთ მგზავრებსაო, რაზედაც შმიდტმა გვიპასუხა: ერთისა ან ორი საათის შემდეგ. მაგრამ შეიძლება სამი დღის შემდეგაცო. თქვენ ჩვენი სტუმრები იქნებით და თუ სალდათური საჭმელი გესიამოვნებათ, გაგიმასპინძლდებით. ეხლა-კი გამომყევით და ავაფრიალოთ წითელი რევოლიუციონური დროშაო. ჩვენ დავმშვიდდით და გავყევით ბ-ნ შმიდტს პალუბაზე. გაისმა „ვაშასა“ და „გაუმარჯოს“ ძახილი. გაისმა სამხედრო მუსიკის ხმა და ამ ხმაზე ერთი მატროსი ავიდა მაღლა „ოჩაკოვზე“, ამართა წითელი დროშა. დიდებული სურათი იყო. ნაპირებზე თავი მოეყარა სევასტოპოლის მცხოვრებთ, ჯარსა და მატროსებს, რომელნიც აღტაცებულის ძახილით მიეგებნენ დროშის აღმართვას. ბულვარი და სადგურის გარშემო ადგილი გაჭედილი იყო ხალხით. მატროსები დარაზმულნი იყვნენ. ბ-ნმა შმიდტმა, მაღლა შემდგარმა, სიტყვა წარმოსთქვა: „მოქალაქენო! ჩვენ ვემსახურებით ანდრიას დროშას, როგორც დროშას ფლოტისას. ჩვენ გვინდა დავიხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან და ვფიცავთ, რომ დავიხსნით კიდეც! („ვფიცავთ, ვფიცავთო“, გაისმა მატროსებისა და ხალხის ხმა). ეხლა კი, ამხანაგებო, გავეშუროთ „პოტემკინის“ აჯანყების დროს დაპატიმრებულ ამხანაგების განსათავისუფლებად. წავიდეთ, იმათაც უნდა მივანიჭოთ თავისუფლება“.

ამის შემდეგ 50 შეიარაღებული მატროსი გაჰყვა ლეიტენანტ შმიდტს. „პოტემკინის“ აჯანყების დროს დაიჭირეს 69 მატროსი. ესენი დაპატიმრებულნი იყვნენ გემს „პრუტზე“, რომელიც ამ დროს სევასტოპოლში იდგა. ერთი საათის შემდეგ შმიდტი მატროსებითურთ დაბრუნდა და თან მოიყვანა განთავისუფლებული მატროსები და 4 დაპატიმრებული აფიცერი. განთავისუფლებულნი საშინელს სანახაობას წარმოადგენენ. მოკუნტულნი, ჩამომხმარნი და ჩამოყვითლებულნი ძლივს-ღა დალასლასებდნენ. ამხანაგების დახვედრამ ძალზე გაახარა ეს საწყლები. მალე მათაც შეუერთეს თავიანთი ხმა აღტაცებულ ხალხის სიხარულს. განთავისუფლებულნი გემზედ ამოვიდნენ. მატროსები ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ და ულოცავდნენ თავისუფლებას.

პატარა ხნის შემდეგ შმიდტი გაემართა „პატემკინსა“, „ტრი სვიატიტელსა“ და სხვა გემზე. ამ გემებიდან შმიდტის ნავს აღტაცებულის ძახილით მიეგებნენ. შმიდტი წავიდა დროშების აღსამართავად და მატროსების მოსამხრობად. თუმცა ახალს ადმირალს აღტაცებით მიეგებნენ, მაგრამ არც ერთ გემზე არ მიიღეს იმისი წინადადება წითელი დროშის აფრიალების შესახებ. დაღონებული შმიდტი უკან დაბრუნდა. არ გაუვლია დიდხანს, რომ აღნიშნულ გემებიდან გამოემართა ხუთი ნავი. შიგ მატროსები ისხდნენ. ესენი იყვნენ დეპუტატები და შმიდტთან სათათბიროდ მოდიოდნენ. დეპუტატები ამოვიდნენ და შეუდგნენ თათბირს. შმიდტმა აღელვებულისა და ძლიერის სიტყვით მიჰმართა დეპუტატებს: „მე მოვედი თქვენთან მოსალაპარაკებლად; მინდოდა, თქვენც მხარე დაგეჭირათ რევოლიუციონურ პარტიებისათვის, რომ დავამხოთ ხალხის მტერი ბიუროკრატია, ძველი რეჟიმი. მოვედი, მერჩია, რევოლიუციონური დროშები აგეფრიალებინათ, მაგრამ თქვენ ჩემი სიტყვა არ მიიღეთ...“ შმიდტს ცრემლები მოერია, აღელდა და ათრთოლებულმა ქვითინი დაიწყო. „პოტემკინი“-ს მატროსებმა ერთხმად შესძახეს: „ჩვენ თქვენთანა ვართ, ან სიკვდილი ან გამარჯვებაო“. დეპუტატებმა სთხოვეს შმიდტს გაჰყოლოდა იმ სამი აფიცრის დასაპატიმრებლად, რომელნიც „პოტემკინ“-ზე მატროსებს ჯერ არ დაეპატიმრებინათ. მართლაც წავიდნენ, აფიცრები დაატყვევეს და გემზე წითელი დროშა აღმართეს. მალე დროშები ააფრიალეს 6 ნაღმიან გემსა, ფლოტის ეკიპაჟის ყაზარმებსა და არსენალზედა. აღტაცებულმა შმიდტმა გვითხრა მგზავრებს: გადაეცით ყველას, ვინც ნახოთ, რომ ჩვენ მეგობრები ვართ რუსეთის ხალხისა. თუ ჩვენის ფლოტით სხვა ნავთსადგურებს მივადგებით, მიგვიღონ ისე, როგორც მეგობრებიო. მგზავრების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ჩვენ „პუშკინზე“ გადავედით და ნავთსადგურში შევცურეთ. ქალაქში რომ შევედით, გაოცებულნი დავრჩით. ქუჩებში დიდძალი შეიარაღებული ყაზახობა იყო, მაგრამ ყველას კარგად ეპყრობოდნენ. მიზეზი ამისა შმიდტის შემდეგი განცხადება იყო: „იმ შემთხვევაში, თუ ყაზახები მოქალაქეებს რაიმეს ავნებენ, იძულებული ვიქნები უკიდურეს საშუალებას მივმართოო“. მიუხედავათ ამისა, შეშინებული ხალხი მაინც გარბოდა ქალაქიდან, გარბოდა ხალხი იალტასა და სხვა ადგილებიდანაც. ფლოტის ეკიპაჟი საუცხოვოდ დისციპლინას იცავს, დარაჯობენ ქალაქში სხვა და სხვა დაწესებულებებს. პ-ნ შმიდტს თანაშემწედ ჰყავს ჩასტნიკი. სიმფეროპოლსა და სევასტოპოლს შუა მიმოსვლა შეწყვეტილია. „პუშკინ“-მა იალტაში შეუხვია. იქ ხმა გავრცელდა, ვითომ არტილერია შებრძოლებოდეს გემებს, ორი გემი ჩაეძიროს და ყაზარმები და ფლოტის ეკიპაჟი გაენადგურებინოს. დარწმუნებული ვარ,—სთქვა ამბის მომტანმა ბ-ნმა ც—მა, რომ ეს ხმები—განგებ არის დაყრილი. ხმა დადის აგრეთვე, რომ ხმელეთის ჯარიც აჯანყდა და შეუერთდა მატროსებს, მაგრამ ისინი დაათვრეს და თითოს სამ-სამი მანეთი დაურიგესო“.

ამ ამბის მომტანმა გადმოგვცა აგრეთვე, რომ, როგორც ხმა დადის, ფლოტის წინანდელი ადმირალი ჩუხნინი ჯერ არ დაუტყვევებიათ, რადგან მან თავის სახლის გარშემო ტყვიის მტყორცნელები დაიწყო და თავს ასე იცავსო.

დაზარალებულთა სასარგებლოდ

ქ-ნ ფოტინე ბერეჟიანისაგან შეკრებილი დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ 25 მ. 90 კ. შემომწირველთა სია:

მელიტონ ჯაფარიძე 1 მ., გრიგორ ბერეჟიანი 2 მ., ფოტინე ბერეჟიანისა 2 მ., ივანე ბილიაევი 1 მ., კუშიძე (?) 5 მ., პანაგიოტოვი 1 მ. ნიკ. დავიდოვი 1 მ., მიხ. ჟურავლიოვი 50 კ., ივანე ბელიაევი 20 კ., ნიკ. ჟუკოვლევი 20 კ., იგნატიევი ან. 20 კ., კოვტუნენკო 20 კ., ანდრეი დვალი 1 მ., ნიკოლოზ სოსაშვილი 1 მ., ილო სულიაშვილი 50 კ., აბრამ მერებაშვილი 50 კ., ალექსანდრე ლომიძე 50 კ., გიორგი ბუხრაშვილი 20 კ., ოხმშიანცი 20 კ., სპარსელი 50 კ., დ. სავანელი 30 კ., აზიმ რაიმ ოღლი 50 კ., ანნა ჯაფარიძისა 50 კ., ილიკო ვაშალომიძე 50 კ., მარიამ ვაშალომიძე 50 კ., გიორგი წიტაიშვილი 50 კ., ხურციძე ნესტორ 50 კ., მარიამ მეძმარიაშვილი 40 კ., ერასტი ვაშაკიძე 50 კ., ბაბინე ს. ნაკაიძე 50 კ., X. 1 მ., მინა მანჯავაძე 1 მ., მ. ხახარა 50 კ.

ზურაბ ივანეს ძის ფარეშიშვილის მიერ გურულთა სასარგებლოდ შეკრებილი—28 მ. 40 კ. შემომწირველთა სია:

ფარეშიშვილი ზურაბ ივანეს-ძე 3 მ., აბაზოვი წყალობა სერგ. 5 მ., ერაძე ეგნატე გაბრიელის ძე 3 მ., დავიდოვი გიორგი სოლომონის-ძე 3 მ., მჭედლოვის ივანე გრიგოლის-ძე 4 მ., ტარასაშვილებისგამ 2 მ., გოგინაშვილისგან არტემ 1 მ., „Кирхмазъ“ 1 მ., **Агаянъ Абелъ** 1 მ., მაგრაქველიძე ხრისტაფორ 2 მ., კერესელიძე გიორგი 1 მ., რატიანისა პლატონ 50 კ., **Акопянцъ Егіа** 50 კ., **Бережанова Любовь** 50 კ., **Саркисъ** 50 კ., პაატოვი იოსებ ზახარის-ძე 40 კ.

თავრიზის გზაზე სპარსეთში ილია გოგიძის მიერ გურულთა სასარგებლოდ შეგროვილი 26 მ. 50 კაპ. შემომწირველთა სია:

ილია მ. გოგიძე 5 მ., ბაგრატა იაკოფაშვილი 2 მ., გერსიმ ბექუაშვილი 2 მ., სამუე ეკატაძე 2 მ., ალექსანდრე გოგიტაშვილი 2 მ., გიორგი გოგიძე 2 მ., გიორგი ზოტიკოვი 2 მ., იაგორ მამულაშვილი 1 მ. 50 კ., ალექსანდრე ბანეტაშვილი 1 მ., ილია კოჩივარი 1 მ., ფარნაოზ სირაძე 1 მ., სანდრო მამისეიშვილი 1 მ., გალაქტიონ კვატაძე 1 მ. ილია თეთრაძე 1 მ. კოლა პეტრუსოვი 1 მ., ხარისჯან კუთკუთაია 50 კ., კოტე მჭედლიძე 50 კ.

ამას გარდა შემოსწირეს: ვ. ლუარსაბიძემ გურულთა სასარგებლოდ 5 მან. და დაზარალებულ ქართლელთა სასარგებლოდ 5 მ., ელისაბედ აბრამაშვილმა გურულთა სასარგებლოდ—10 მან.

სულ დღემდე ჩვენს რედაქციაში შემოვიდა **2061 მან. 89 კაპ.**

ახალი ამბავი

✦ **ფოსტა-ტელეგრაფ. მოხელეთა გაფიცვის ამბავი.** როგორც გავიგეთ, ფოსტა-

---

ფელეტონი

პატარა ამბები

როგორი რევოლიუციაა დღეს?—როგორი მოჰყვება მას?—რა მოელის თვითმპყრობელობას?—ქალაქის საბჭოს მოვალეობა.

რევოლიუცია გაცხარებულია...

რუსეთის და იაპონიის ომი არ მიდიოდა წინ ისეთის სისწრაფით, როგორც ვითარდება და იზრდება დღევანდელი რევოლიუცია. ერთი ამბავის გაგებას ვერ ვასწრებთ კარგად, რომ დეპეშას მოაქვს მეორე, უფრო საყურადღებო და გასახარებელი. რევოლიუციის ძალა ყოველ საათობით მატულობს, ყოველ მხრიდან იკრიბება რევოლიუციონერთა რაზმები, ფართოდ იშლება წითელი დროშა, ძლიერად გაისმის მებრძოლ მუშა ხალხის ხმა და ის, რაც დამაკმაყოფილებელი იყო გუშინ, აღარ არის საკმაო დღეს, იზრდება ხალხის მოთხოვნილებანი, იგი აღარ სჯერდება თავისუფლების ნაკვეთებს, აღარ კმაყოფილდება ნასუფრალით, აღარ დაჰყრის იარაღს პოლიტიკურ უფლებების მოპოვების შემდეგ და მას თან მოაყოლებს სოციალურ რევოლიუციას. წინ მოსჩანს უფრო დიდებული სურათი, ვიდრე არის თვითმპყრობელობის მოსპობა! წინ მოსჩანს ნამდვილი დემოკრატია, ნამდვილი ხალხური მმართველობა და შრომის სამეფო, რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო ახლოვდება და სხვა ხასიათს და ელფერს აძლევს უკვე დაწყებულს რევოლიუციას.

მალე დადგება ისეთი დრო, როდესაც არავის დააკმაყოფილებს არამც თუ ვიტტეს კუდმოჭრილი, არამედ სრულიად ფართო კონსტიტუცია; საქმე არ გათავდება ბურჟუაზიულ, პოლიტიკურ რევოლიუციით, არამედ დაიწყება უფრო დიდი რევოლიუცია, დაიწყება სოციალური რევოლიუცია, ბრძოლა მუშა ხალხის ქონებრივ განთავისუფლებისათვის. დღევანდელი რევოლიუცია მუშა ხალხის რევოლიუციაა, მან დაიწყო, მისი ძალ-ღონით მიდის წინ. მისი წყალობით წყდება რევოლიუციის საქმე. მისი სისხლით არის მორწყული თავისუფლების გზა. მუშა ხალხმა რომ დღეს ხელი აიღოს რევოლიუციაზე, იმ წამსვე ზეზე წამოდგებოდა რეაქცია, ტრეპოვი ხელახლა ავიდოდა თავის ტახტზე, შირინკინი მიატოვებდა მეგაზეთეებთან დავას, დაიწყებოდა საშინელი ხოცვა და ჟლეტა, განადგურდებოდა ყველაფერი, სადაც-კი დროებით შეამუქა თავისუფლების სხივმა. მუშა ხალხმა აიღო ხელში იარაღი და შეშინდა თვითმპყრობელობა, თავისუფლებაზე დაიწყო ლაპარაკი, კონსტიტუციის მზადებასაც კი შეუდგა. მაგრამ თვითმპყრობელობაა მარტო მუშა ხალხის მტერი?

დღევანდელი პოლიტიკური რევოლიუცია ბურჟუაზიულია, იგი განამტკიცებს ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ხელს შეუწყობს ბურჟუაზიის განვითარებას, დაამყარებს თავისუფლებას, რომლითაც ყველაზე უფრო ისარგებლებს ბურჟუაზია; ამ რევოლიუციით დაწესდება და განვითარდება ბურჟუაზიული სამეფო. და ნუ თუ მუშა ხალხმა, რომელიც ჰქმნის ამ რევოლიუციას, უნდა დაჰღვაროს სისხლი ახლაც ბურჟუაზიისთვის და დაჰყაროს იარაღი, როგორც კი მიანიჭებს თავისუფლებას ბურჟუაზიას? ნუ თუ ახლაც მუშა ხალხი უნდა იყოს სხვისის მონა და იარაღი? მისი მოპოებულის თავისუფალი წესწყობილებით უნდა დასტკბეს ბურჟუაზია, მეტის განცხრომით და ფუფუნებით იცხოვროს თავის პალატებში? კიდევ უფრო უნდა გაბედნიეროს მუშა ხალხმა თავისი მყვლეფელები და მჩაგვრელები?

განა მუშა ხალხმა უნდა მოიპოვოს ძალა, შეიარაღდეს, მოახდინოს რევოლიუცია, გაიმარჯვოს და პირველი გამარჯვების შემდეგ დაჰყაროს იარაღი, გადასცეს იგი ბურჟუაზიას, დაუძლუროს საკუთარი თავი, გააძლიეროს ბურჟუაზია, რომ ხელახლა მოიკრიბოს ძალა, ხელახლა შეიარაღდეს, დაიწყოს ომი უფრო გაძლიერებულ და შეიარაღებულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ?

რევოლიუცია რაკი დაიწყო, იგი აღარ შეჩერდება შუა გზაზე, განვითარდება საკუთარის გზით, წამოაყენებს და გადასწყვეტს ახალს კითხვებს, რომლებიც შეიძლება ფიქრადაც არავის მოსვლია რევოლიუციის დასაწყისში. სხვა არა იყოს რა, საფრანგეთის დიდი რევოლიუცია რამდენიმე მაგალითს იძლევა ამისას: მოქალაქეებმა მოითხოვეს, რომ ცოტაოდენი უფლება მისცემოდათ სახელმწიფო საქმეში ჩარევისა, და აზრადაც არავის ჰქონდა, რომ რაიმე უსიამოვნება მიეყენებიათ ღვთით კურთხეულის მეფის ლუი XVI-ისათვის. მაგრამ რევოლიუციამ სულ ერთიან გააუქმა მთელი მაშინდელი სახელმწიფო წესწყობილება და სიცოცხლეს გამოასალმა ღვთისაგან დაყენებული მეფე. დღევანდელი რუსეთის რევოლიუცია ბევრითა ჰგავს საფრანგეთის დიდ რევოლიუციას და კიდევ უფრო დაემსგავსება, მაგრამ მაინც ეს ორი რევოლიუცია არსებითად განსხვავდება ერთი მეორისაგან. საფრანგეთის რევოლიუცია ბურჟუაზიის რევოლიუცია იყო; თუმცა ხალხი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ როგორც მეორე ხარისხოვანი მონაწილე, მაშინ მას არ ჰქონდა საკუთარი პოლიტიკა, არ ჰქონდა ორგანიზაცია, არ ჰქონდა შეგნებული თავისი ვინაობა. სულ სხვაა დღეს: დღეს რევოლიუციის ბატონი მუშა ხალხია, ძალა მის ხელშია, მუშა ხალხი დღეს გათვითცნობიერებული, შეგნებული კლასია, რომელსაც ნათლად აქვს გათვალისწინებული თავისი მომავალი და მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში. დღეს მუშა ხალხი არ არის ბრბო, იგი გაწვრთნილი, დაწყობილი და შეკავშირებული ჯარია, რომლის წინაშე ყოვლად უძლურია, უძლიერესი თვითმპყრობელიც კი!

ასეთმა ძლევამოსილმა რაზმმა, ასეთმა შეგნებულმა მუშა ხალხმა უნდა მოახდინოს მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლიუცია, ხელი დაიწვას იმიტომ, რომ შემწვარი წაბლი მიართვას ბურჟუაზიას, დაამარცხოს თვითმპყრობელობა და მუხლ მოდრეკილი იჯდეს ბურჟუაზიის წინაშე? რევოლიუცია აუცილებლივ წამოაყენებს იმას, რაზედაც სრულიად არ გვიფიქრნია. რევოლიუციას თავისი ლოღიკა აქვს და არ შეჩერდება, სანამ მთლად არ განვითარდება. რევოლიუცია საუკეთესო აღმზრდელია, დაწყებული რევოლიუცია უფრო მოამზადებს ისეც მომზადებულს ხალხს, დაავალებს ახალი საქმის გადაწყვეტას და უჩვენებს ამის საშუალებასაც. ბრძოლითა მოიპოვებ უფლებასა შენსაო. მაგრამ ეგ კიდევ ცოტაა. ბრძოლა უფლებისათვის წარმოშობს ახალ უფლების შეგნებას. ბრძოლის ველზე გამოსულ ხალხის სიცოცხლე გაორკეცებულია, მისი სისხლი უფრო სწრაფად მოძრაობს, მისი მაჯა უფრო ძლიერად სცემს და უფრო ფხიზელია მისი გრძნობები: რასაც არ გრძნობდა მანამდის, დაინახავს და იგრძნობს მაშინ. ბრძოლა პოლიტიკურ

ტელეგრაფის მოხელეთა მთავარ ბიუროს დათხოვნილი დელეგატები ბ-ნი რაკი და ინჟ. დვუქილნი, აგრეთვე მოსკოვის ფოსტის გამგე პართენენკო ხელმწიფეს ცარსკოე სელოში დაუბარებია. იმედი აქვთ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა გათავდება 20 ნოემბრისათვის გაფიცულთა სრულ გამარჯვებით.

◆ **სომხების და თათრების ახალი შეტაკება.** ხელ-ახლა დაიწყო ჟლეტა-ხოცვა სომხებსა და თათრებს შორის. გუშინ ტფილისის ქუჩებში გაკრული იყო შემდეგი დეპეშა: „18 ნოემბერს ქალაქ განჯაში დაიწყო სომეხ-თათართა საშინელი ჟლეტა-ხოცვა.“ ქალაქს ცეცხლი უკიდია. ნავთის სადგურთან ქვეითა ჯარმა გზა შეუკრა ქალაქში მიმავალ თათართა ბრბოს. ასტყდა სროლა. სალდათები ესროდნენ დაუზოგავად. თათრები გაიფანტნენ, სადგურს შეიარაღებულ თათართა რაზმები არტყია. სადგურს თავისუფალი მილიციონერები იცავენ, რომელთაც ქვეითა ჯარი ეხმარება. რადგან ჯარის კაცებმა რამდენიმე თათარი მოჰკლეს, მოსალოდნელია, რომ სადგურს ღამე თათრები დაეცემიან. ამ ჟამად, შუა ღამის 12 საათზედ, ქალაქი საშინელ ცეცხლის ალშია გახვეული. ისმის განუწყვეტელი გრიალი თოფებისა. ამბავი მოვიდა, რომ ალაბაშიდან ქალაქისაკენ ხუთასამდე თათარი მოდისო. ამათ გაანადგურეს გერმანელთა ახალშენების ბაღები და სომხები დახოცეს. ხმაა, რომ „ლაკრიჩნის“ ქარხნებთან ათასამდე თათარი სდგასო.

◆ **ოპერა გურულთა სასარგებლოდ.** როგორც ვწერდით, სამშაბათს, 22 ნოემბერს, სახაზინო თეატრში ბ-ნ ი. კარგარეთელის მეთაურობით გაიმართება ქართული ოპერა დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ. ოპერას სდგამს ამხანაგობა, რომელმაც ერთხელ უკვე დასდგა ოპერა და უნარი და ნიჭი გამოიჩინა. მონაწილეობას იღებენ ტფილისში ცნობილი მომღერალნი. ოპერის შემდეგ გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არციბაშევა, კარრი; ბ-ნნი: დონსკოი, კოლოტოვი, ევლახიშვილი, ტომაშევიჩი, სოკოლსკი და ქართული ხორო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ სიმპატიურ აზრით განზრახულ ქართულ ოპერას ხალხი ბლომად დაესწრება.

◆ **ბანკის გაძარცვა.** გუშინ, 19 ნოემბერს, გაძარცვეს აზოვო-დონის ბანკის ტფ. განყოფილების მეარტელე კრივენკოვი. კრივენკოვს დილით 49,000 მან. პორტფელში ჩაუდვია და წასულა სახელმწიფო ბანკისაკენ ამ ფულის შესატანად. როგორც ეტყობა, ეს ამბავი სცოდნიათ გამძარცველებს. ბანკთან ერთი ქუჩაში გაჩერებულა, ორი შესავალ კარებში—აქეთ-იქით, ხოლო ერთი მაღლა ასულა. კრივენკოვი ის იყო კიბეზე უნდა ჩამოსულიყო, იქ მდგომ უცნობს კარები ჩაუკეტნია და კრივენკოსათვის რაღაცა უთხოვნია. კრივენკოვს ვერ გაუგია, რასა სთხოვდა. ამ დროს უცნობს გამოუტაცნია ფული და გაქცეულა. უცნობი კიბეზე დაცემულა და ფორტფელი ხელიდან გავარდნია, მაგრამ მალე ისევ დაუვლია ხელი და ქუჩაში მდგომებთან ერთად ეტლში ჩამჯდარა. იქვე მაღაზიიდან მაღაზიის პატრონი აკოფოვი გამოსულა და დამუქრებია უცნობებს, მაგრამ მათ რევოლვერი დაუნახვებიათ. მალე ეტლი მიმალულა.

◆ **რკინის გზის ტელეგრაფისტთა კრება.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ 16 ნოემბერს გაიფიცნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის მოხელენიც. 18 ნოემბერს ჩამოვიდა სადგურებიდან 54 დეპუტატი და ამავე დღეს დაიწყო კრება სატეხნიკო სასწავლებლის სადგომში. კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, გაფიცვა მარტო ეკონომიური იყოს თუ პოლიტიკურიც. კრებამ დაადგინა, რომ გაფიცვა ეკონომიურიც არის და პოლიტიკურიც. ამავე კრებაზე დამსწრეთ აღნიშნეს თავიანთი გაჭირვებულ ეკონომიური მდგომარეობა. გუშინ, 19 ნოემბერს, კრებამ დაადგინა მოითხოვოს დაუყონებლივ მიღებულ იქმნან ზაფხულის გაფიცვის დროს დასჯილნი და დათხოვნილნი; მოითხოვოს უკანვე დააბრუნონ ისინი ვინც ამავე გაფიცვის გამო გადაყვანილ იქმნენ სხვა სადგურებზე. კრებამ ამ დროს განჯიდან ამხანაგებისაგან წერილი მიიღო. ატყობინებენ: საშინელ მდგომარეობაში ვართ იმ ხოცვა-ჟლეტის გამო, რომელიც თათრებსა სომხებს შორის ასტყდა: აღარავინ არავის არჩევს. რაც შეიძლება ჩქარა დაიწყეთ ტელეგრაფის მუშაობა, რადგან არც მატარებლები და არც ცნობები არ მოდისო.

ამ გარემოებამ ძალზედ შეაწუხა შეკრებილნი. კრებამ აცნობა ტელეგრაფისტებს სადგურებზე, გავიდნენ სამუშაოდ და ხელი შეუწყონ იმ დეპეშების მიღებას, რომელიც შეეხება სომეხ-თათართა ჟლეტა-ხოცვას და სახალხო მატარებლების მიმოსვლას.

◆ **პოლიციელების მოთხოვნილებანი.** ბათუმის პოლიციელთ წარუდგენიათ თავიანთი მოთხოვნილებანი ბათუმის გუბერნატორისათვის. რადგან ეხლა პოლიციელთ ცუდის თვალით გვიცქერის ხალხი და დასახოცათ არ გვინდობს, გთხოვთ პოლიცია ქალაქს გადასცეთო.

◆ **ჯარის-კაცების თვითნებობა.** ქუთაისიდან გვწერენ: 15 ნოემბერს ფოთიდან ამბავი მოვიდა, რომ ჯარის-კაცები თავისნებით სჩხრეკენ კერძო სახლებს და კონტრაბანდით შემოტანილ იარაღს ეძებენო. ამ ამბავს დიდად აუშფოთებია ფოთის მკვიდრნი და ქალაქის საბჭო, რომელსაც საგანგებო სხდომაზე დაუდგენია თვითნებობა ჯარისა აცნობოს ქუთ. გუბერნატორს და სთხოვოს ჯარის-კაცთა ალაგმა. საზოგადოდ უკანასკნელ ხანებში ჯარი თვითნებობას და ურჩობას იჩენს, აღარაფერი მოქმედებს მაზე: არც დისციპლინა და არც სასჯელი. ეს გარემოება დასაფიქრებელია მათთვის, ვისაც ძალა უნებურად ჯართან საქმე აქვს.

◆ **მიტინგები.** დღეისთვის დანიშნულია ნაძალადევში სოციალ-დემოკრატთა მიტინგი. იქვე მოხდება მიტინგი მკერვალთა ამქრისა. ხვალისათვის დანიშნულია შემდეგი მიტინგები: ექიმებისა, ფერშლებისა, ფარმაცევტებისა და სხვათა სამკ. საზოგადოების სადგომში; ხუროებისა—ნაძალადევში, დილის 10 საათზე. გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ დღეს, 20 ნოემბერს, მოხდება ფედერალისტთა მიტინგიო. გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ეს ხმა ტყუილია.

◆ **ხარჯი ჯარის შენახვისათვის.** სამტრედიაში ჯარის დაბინავება დაბის მცხოვრებთ დღემდე დასჯდომიათ 6000 მანეთად. ფულის მზღვევი არსად ჩანს და სახლის პატრონები და ხელოსნები თავის ხვედრ ფულს ითხოვენ. იმის იმედი, რომ დახარჯული ფული გაიწერება მთელ სამტრედიის საზოგადოებაზე და აქედან აღებული ფულით დააკმაყოფილებენ ხალხს, არავის უღიმის რადგან ფულის აღება, ჯერ ერთი, საეჭვო საქმეა და საეჭვოც რომ არ იყოს, მეტის მეტად დაგვიანდება. ამიტომ დაინტერესებული პირნი, როგორც გავიგეთ, ფიქრობენ გუბერნატორს მიმართონ.

◆ **სამღვდელოების კრება.** 18 ნოემბერს დაიწყო კრება დუშეთის ოლქის სამღვდელოებისა. კრებამ ჯერ ჯერობით გადასწყვიტა გაფიცვა, რადგან აღარც მთავრობა და აღარც მცხოვრებნი აღარ გვშველიანო.

◆ **ბანკის რწმუნებულთა კრება.** დღეს, 20 ნოემბერს, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება კრება ბანკის რწმუნებულებისა. კრებამ, სხვათა შორის, უნდა აირჩიოს ბანკის თავმჯდომარე, ნაცვლად თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა.

◆ **ჯარის დაბრუნება.** სამოქალაქო მთავრობის განკარგულებით, ქუთაისის გუბერნიის დაბა-სოფლებში დაბინავებული ჯარი ისევ ქუთაისში წაიყვანეს, თითო როტა დარჩა იქ, სადაც ხაზინა და ფოსტის კანტორებია.

◆ **არჩევნები.** დღეს საღამოს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება არჩევნები სახალხო კითხვათა საზოგადოების გამგეობის წევრებისა.

◆ **სომეხთა კონსისტორიის გაფიცვა.** ტფ. სომეხთა კონსისტორიის მოხელეთ წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი და გაიფიცნენ.

◆ **რკინის გზის უფროსი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსად, ივანოვსკის ნაცვლად დაინიშნა ინჟ. შაიკევიჩი.

◆ **აფიცერთა ძალადობა.** ბათუმში, როგ. „ვოზ.“ გადმოგვცემს, ყაზახის ხუთი აფიცერი შევარდნილა „ჩერ. ვედ.“ რედაქციაში და რედაქტორი მოუთხოვნია. აფიცრებს უნდოდათ თურმე ძალა ეხმარათ, მაგრამ გარედ დიდძალი ხალხი შეკრებილა. ამასთან შტაბიდან აფიცრებისთვის უბრძანებიათ, უკან დაბრუნებულიყვნენ.

◆ **საერობო სათათბირო.** გორში ერობის შემოღების შესახებ თათბირი დანიშნულია 28 ნოემბრისათვის. როგორც ვიცით, გორსა და დუშეთში ჯერ არ მომხდარა თათბირი ამ საკითხის შესახებ.

◆ **კორესპონდენცია ფოსტაში.** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის დროს ტფილისის კანტორაში შეგროვდა 100 ფუთი კორესპონდენცია.

◆ **რეფერატი.** ორშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში ბ-ნი ივანოვი წაიკითხავს რეფერატს: „მარქსიზმის ძირითად საფუძვლების კრიტიკა“.

◆ **გაფიცვა.** გუშინ გაიფიცნენ ფეხსაცმელის ქარხნის მუშები. თხოულობენ უკანასკნელ გაფიცვის ფულს და სხვას.

◆ **საბჭოს კრება.** ორშაბათს, 21 ნოემბერს, დილის 11 საათისთვის, დანიშნულია ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება.

◆ **კრება არ შესდგა.** გუშინ, 19 ნოემბრისთვის, დანიშნული იყო ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრება, მარშლის მოადგილის თავ. ორბელიანის ავადმყოფობის გამო არ შესდგა და სხვა დროისთვის გადაიდო.

◆ **ჟურნალის ნებართვა.** კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო აგრონომ ა. ლ. ათანასიანცს გამოსცეს ქ. ტფილისში სომხური ყოველ კვირეული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი. „აშხატანკი“ (შრომა).

◆ **ქართული სამკურნალო ჟურნალი.** ექიმმა ვ. დ. ლამბაშიძემ შუამდგომლობა აღძრა სამკურნალო-საჰიგიენო პოპულიარული ჟურნალის გამოცემის შესახებ: ნამესტნიკმა შეიწყნარა ეს შუამდგომლობა.

◆ სვირი. სოფ სვირის მცხოვრებთ დიდი ხნის მიიღეს აფთიაქის გახსნის უფლება, მაგრამ საქმე სისრულეში ვერ მოჰყავდათ უთანხმოების გამო. ამას სოფელმა გაგზავნა წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნატორთან და ითხოვა, რომ აფთიაქის მოწყობისათვის მიეცეს სესხად სოფელშივე მოკრებილი თანხა შიმშილობის საჭიროებისათვის. როგორც გავიგეთ, გუბერნატორს აუხსნია სვირელების წარმომადგენლისათვის, რომ მას, გუბერნატორს, თანხის გასესხების უფლება არა აქვს. ამიტომ ბ-ნ სტაროსელსკის ურჩევია, თქვენს ყრილობაზე მოილაპარაკეთ მაგ საგანზე და თუ ყრილობა დააკანონებს თავის სურვილს ფულის სესხების შესახებ აფთიაქის გასახსნელად, მაშინ ნამესტნიკთან შუამდგომლობას აღვძრავ, და იმედი მაქვს, თქვენს კანონიერ სურვილს შეიწყნარებენო.

◆ სექტემბერში კავკასიის მთავრობას სამხედრო სასამართლოში მიუცია ანდრია კუჭავა, რომელსაც ჰბრალდებოდა ხორუნჟის (აფიცრის) მაკალენკოს მოკვლის განზრახვა და ურიადნიკის ტუმასოვის დაჭრა. როგორც გამოირკვა, კუჭავა სრულებით არა ყოფილა დამნაშავე. მაკალენკოსთან ლაპარაკის დროს ურიადნიკ ტუმასოვს მუშტი შემოუკრავს კუჭავასთვის. ამით გაბრაზებულ კუჭავას დანა ჩაუკრავს მუცელში ურიადნიკისთვის. აი აქედან წარმოსდგა საქმე. კუჭავა მაინც მისცეს სამართალში, მხოლოდ სამხედროს ნაცვლად, სამოქალაქოში.

◆ ყაზახის მაზრიდან ჩამოსული მაჰმადიანთა დეპუტაცია ნამესტნიკმა 18 ნოემბერს მიიღო. დეპუტატებმა სთხოვეს მაზრის უფროსის არნოლდის დათხოვნა. ნამესტნიკმა აღუთქვა არნოლდის სხვაგან გადაყვანა.

◆ ტფ. სამაზრო გამგეობის მოსამსახურეთ მთავრობას თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს. მოხელენი თხოულობენ იმ 4.300 მანეთს, რომელიც გადადებულია მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად და კი არ აძლევენ.

ქუთაისის ამბები

◆ ეს ორი დღეა ქუთაისში მარტო ხულიგანებზე ლაპარაკობენ. ყველა იძახის ქალაქი ხულიგანებით გაივსოო. საიდგან გაჩნდნენ და ვინ მოიყვანა, კაცმა არ იცის. ზოგი იძახის, ბათუმიდან მოვიდნენო, ზოგიკი იმ აზრისაა, რომ ხულიგანების ბრბო ადგილობრივ ავაზაკებისა და მძარცველებისაგან შესდგაო. ამ ხმებით დაშინებულია ხალხი და სულ მცირე მიზეზია საკმაო, რომ მშვიდად მობაასე ხალხი დაიშალოს.

◆ ორშაბათ საღამოს ქუთაისში ხმა გავარდა, რომ ჰომაში სროლაა გამართული. ბულვარში მოსიარულე ხალხი შეშინდა, უცებ დაიმალა. ნამდვილად-კი შემდეგი მომხდარა: ჰომაში შეკრებილან ქალები კერძო საქმეებზე მოსალაპარაკებლად და იმ დროს, როცა ერთი ორატორი ლაპარაკობდა, შევარდნილა ორი კაცი და რევოლვერები დაუცლია. შეშინებული ხალხი დაფანტულა. იგივე ორი კაცი გამოქცეულა ქალაქში და რამდენიმე ეტლით თავისი ამხანაგები წაუყვანია. შემდეგ ამისა ორ მოპირდაპირეს შორის სროლა ატეხილა. დაჭრილი და მოკლული არ არის. ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც დაარღვიეს კრება, ერ არავინ იცის, ზოგი ხულიგანებათ სთვლის მათ და ზოგი სოციალდემოკრატებად.

◆ 14 ამ თვეს, როცა საღამოს მატარებელი უნდა დაძრულიყო რიონიდან ბათუმისაკენ, რევოლვერით დასჭრეს ჟანდარმის უნტერ-აფიცერი. ტყვია მკერდში მოჰხვედრია და ჭრილობა საშიშს არაფერს წარმოადგენს. ჟანდარმი იმავე მატარებლით სამტრედიაში წასულა. ეჭვი ჟანდარმს მიუტანია მაშინისტ შავგულიძის შვილზე. გამართლდება თუ არა ეჭვი, გამოძიება დაგვანახვებს.

◆ 16 ნოემბერს გაიფიცნენ ნოქრები და თერძების შეგირდები. პირველნი თხოულობენ 8 საათზე დუქნების დახურვას, ბინისა და სასმელ-საჭმლის ფულს, ჯამაგირების მომატებას, ავადმყოფობის დროს ერთის თვით თავისუფლებას წამლის ფულითა და სხვა. მეორენი—ცხოვრების გაუმჯობესებას საზოგადოდ.

◆ ქუთაისის ოლქის სასამართლოს მოხელეთა გაფიცვა დასრულდა ჯამაგირების მომატებით, დათხოვნილი ამხანაგი მაინც ვერ მიაღებინეს

◆ 17 ნოემბერს მოხდა მშობელთა კრება, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. ბევრის ბაასის შემდეგ აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მშობელთა კავშირის წესდება და ერთი კვირის შემდეგ მოხსენდეს კრებას განსახილველად და დასამტკიცებლადაც. კომისიაში აირჩიეს: ქ-ნი ნ. ვ. სტაროსელსკისა, ტ. ი. ნაზაროვისა, ბ-ნი ა. ა. ვერმიშევი და სხვა.

ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ვიცე-გუბერნატორის ჩამოსვლა.—გურულების პასუხი.—მოტყუებული მეურმეები.—უგაზეთობა.—ძველი წესი ოზურგეთში.

15 ნოემბერს ჩამოვიდა გურიაში ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ა. თ. ყიფშიძე. ნატანებშივე მას მიეგება გურულების შეიარაღებული რაზმი. ამით ცოტა არ იყოს გაკვირვებულს ბ-ნ ყიფშიძეს გურულებმა უთხრეს: „სანამ გურიაში იქნებით, ჩვენც უნდა თან გახლდეთ, რომ ვინმე ხულიგანმა არაფერი გაბედოს და მერე ჩვენ არ მოგვახვიოს კისერზეო“...

ამავე დღეს ვიცე-გუბერნატორი ოზურგეთში ჩავიდა და 16-ს ხალხის წარმომადგენელნი მიიღო. მიესალმა და აუხსნა თავის ჩამოსვლის მიზეზი. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგო, სთქვა ბ-ნმა ყიფშიძემ, რუსეთში ახალი რეჟიმი მყარდება; მაშასადამე, ხალხსა და მთავრობას შორისაც უნდა შეიცვალოს ურთიერთობა; თქვენ, გურულებმა ბოიკოტი გამოუცხადეთ მთავრობის ყველა დაწესებულებათ, მაგრამ ამიერიდან მოუხერხებელი იქმნება საქმის ასე დატოვება; რამენაირად უნდა მოწესრიგდეს საქმე, თორემ მუდამ მოსალოდნელი იქმნება რამე უბედურებაო.

გურულთა წარმომადგენლებმა ყურადღებით მოისმინეს ვიცე-გუბერნატორის სიტყვა და უპასუხეს: „მზადა ვართ კონსტიტუციონურ მთავრობის სამართალსა და ადმინისტრაციას ავხსნათ ბოიკოტი, მაგრამ ვეჭვობთ, რომ წინანდელმა მოხელეებმა პირნათლად აღასრულონ 17 ოქტომბრის მანიფესტი; ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, ეხლავ გამოიცვალოს მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია მაზრის უფროსიდან დაწყებული; ყველა ამათ ხალხი ზიზღით უყურებს და არაფრის გულისთვის მათთან საქმეს არ დაიჭერს; უნდა დაინიშნოს ახალი მოსამართლე-მოხელეები, რომელთაც შეგნებული და შეთვისებული უნდა ჰქონდეთ ახალი წესწყობილების აზრი და მიმართულება; ხალხი დარწმუნებულია, რომ ძველის რეჟიმის მოხელენი ვერ შეითვისებენ და ვერ განახორციელებენ თავისუფალ დროის წესებს; ახალს ანუ, უკეთ ვსთქვათ, განახლებულს ადმინისტრაციას-კი ხალხი შეურიგდება“. აუცილებლად საჭიროაო, დაუმატეს გურულებმა, რომ ახალმა მოხელეებმა განსაკუთრებით შეიძინონ კრებისა და სიტყვის თავისუფლების აუცილებლობა ჩვენში და რომ ყველანი ხელუხლებელნი უნდა იყვნენ: პოლიტიკურ რწმენისათვის არავინ დაისაჯოსო.

შემდეგ ვიცე-გუბერნატორმა ლაპარაკი ჩამოაგდო გადასახადების შემოტანის საჭიროებაზე და სალდათების მიცემაზე. გურულებმა სთქვეს: ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ არც ერთისა და არც მეორისა, მაგრამ ისიკი უნდა აღვიაროთ, რომ ძალიან გაგვიძნელდება გადასახადების შეტანა: უკანასკნელი წლების ამბებმა ერთობ გააღარიბა ხალხიო.

„ავაზაკობის მოსპობაზე რაღას ფიქრობთ?“ დაეკითხა ბ-ნი ყიფშიძე. გურულები შეშფოთდნენ; ადვილად შეეტყობოდათ, რომ ეს მათთვის საჭირბოროტო და მწვავე საკითხი ყოფილა. „მთელი გურია სწუხსო, სთქვეს წარმომადგენლებმა; გურია ზიზღს უცხადებს უმსგავსს „ყაზილარებს“, რომელნიც ასე აწუხებენ ხალხს და

თავისუფლებისათვის მეტად გაუცხოველებს სოციალურ თავისუფლების გრძნობას, და აღარ დასტოვებს ბრძოლის ველს, არ დაკმაყოფილდება მარტო პოლიტიკურ უფლებებით, არ დაკმაყოფილდება ბურჟუაზიულ რევოლიუციით და წინ წამოაყენებს იმას, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია მისთვის—ქონებრივ თანასწორობას.

ამიტომ ნუ ვიფიქრებთ, რომ გათავდება დაწყებული რევოლიუცია და ამით გათავდება რევოლიუცია. თვითმპყრობელობის მოსპობა, თავისუფლების დამყარება, პოლიტიკური რევოლიუცია—ეს მხოლოდ პირველი რევოლიუციაა. მაგრამ ეს არ გათავდება, რომ დაიწყება მეორე, უფრო ძვირფასი, მნიშვნელობიანი სოციალური რევოლიუცია ბურჟუაზიის მოსასპობად და მუშა ხალხის სრულის განთავისუფლებისათვის. ვიქონიოთ მოთმინება: რევოლიუცია გრძელი იქნება, გრძელი და ძნელი, არ იქნება ისე იაფი, როგორც ქაღალდზე იწერება.

არ კმარა მარტო მოთმინება, საჭიროა შესაფერი მომზადება—შეიარაღება, რაზმების შედგენა. მტერი არ სძინავს, არ არის მთლად დამორჩილებული ჯერ ახლობელი მტერიც—თვითმპყრობელობა.

* *

17 ოქტომბრის თვითმპყრობელობამ თავისი გაკოტრება გამოაცხადა, მაგრამ უკვე ნანობს ამის გამოცხადებას და ცდილობს ისეთი რამ შენიშვნა გაუკეთოს თავის განცხადებას, რომ სრულიად გააქარწყლოს მისი მნიშვნელობა. გამოცხადებულის „კონსტიტუციის“ თანახმად შესდგა პირველი სამინისტრო ვიტტეს თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა განეხორციელებინა მანიფესტში აღიარებული თავისუფლება, მაგრამ რომელმაც არაფერი არ განახორციელა და ბევრი რამ კი დამარხა. მაგრამ თვითმპყრობელობა ასეთ სამინისტროსაც არ ენდო და შეადგინა მეორე, შინაური საიდუმლო „სამინისტრო“ ტრეპოვის, იგნატიევის და მათ მსგავსთა მონაწილეობით. დღეს ეს „სამინისტროა“ ნამდვილი გამგე რუსეთის ცხოვრებისა და მაშინ, როდესაც ვიტტე კონსტიტუციასა და თავისუფლებაზე ლაპარაკობს და გულუბრყვილო მაყურებლებს თავს უქცევს, ტრეპოვი და მისი ამხანაგები სამხედრო დიქტატურის წესდებას ადგენენ, ხულიგანებს დარიგებას უგზავნიან, ჯაშუშებისაგან მოხსენებას ღებულობენ, პოლონეთში სამხედრო წესებს აცხადებენ და გენერლებს და ზარბაზნებს აგზავნიან გლეხების ასაკლებად.

მოქალაქობრივი უფლება და კანონიერობა გამოაცხადა ოქტომბრის მანიფესტმა და კანონი და უფლება დაუტევა ხელში კაცის მჭამლებს, დაბადებით ავაზაკებს, ლომბროზოს ტიპებს, იმათ, რომელთა შესახებ ერთი მწერალი ამბობს: „მთელი დედამიწის კატორღებიდან რომ შევკრიბოთ უკიდურესი ავაზაკები და კაცის მკვლელები და დავნიშნოთ პოლიცმეისტერებად და გუბერნატორებად, ისინიც კი არ ჩაიდენდნენ იმ სიმხეცეს, რომელიც ჩაიდინეს რუსეთის გუბერნატორებმა და პოლიცმეისტრებმა წარსულ ოქტომბრის თვეშიო“.

გაზეთებს მოაქვთ ამბავი, რომ ყოველ დღე მოსალოდნელია მანიფესტის გაუქმება და სამხედრო დიქტატურის გამოცხადებაო. ეს გასაკვირველიც არ იქმნება: დღევანდელი მთავრობა არავითარ საშუალებას არ მოერიდება თავის დასაცველად. მაგრამ ეს დიქტატურა იქმნება მისი უკანასკნელი სულის ამოთქმა. მის მიერ შემოღებული დიქტატურა დამარხავს მას საუკუნოდ, დამარხავს ისე, რომ მისი სახსენებელიც აღარ დარჩება. მთავრობას უნდა დიქტატურით შეაშინოს ხალხი და სახრჩობელებით შეაჩეროს რევოლიუცია. ავიწყდება, რომ ვერავითარი სისასტიკე და სასჯელი ვერ გაუძლებს ხალხის თავ-განწირულობას და რამდენად ბევრი იქმნება მსხვერპლი, იმდენად საშინელი იქმნება ხალხის შურისძიება. მთლად ნუ დაივიწყებს ისტორიას თვითმპყრობელობა! დიქტატურა ფეხზე დააყენებს მთელი რუსეთის ხალხს, გამოიწვევს საშინელს არეულობას და უცხოელების ჯარების გადმოსხმას რუსეთის ტერიტორიაზე, მთელს სახელმწიფოს მოედება ანარხია და მაშინ რევოლიუცია მიიღებს სხვა ხასიათს, საოცარის სისწრაფით განვითარდება და ეს უკეთესიც არის მებრძოლ ხალხისათვის. თუ დღეს კიდევ არ სჯერა მთავრობას თავისი არარაობა, ამას ნათლად დაუმტკიცებენ უცხოეთის სახელმწიფონიც მაშინ წარსდგნენ დღევანდელი ჯალათები ხალხის წინაშე. მაშინ აღარ გაუშვებენ მათ მშვიდობით... მაშ გამოაცხადონ სამხედრო დიქტატურა, მაგრამ მათვე ეშინოდეთ დიქტატურისა: დიქტატურა მათი საფლავია!

* *

ისეთს დროს ვცხოვრობთ, როდესაც ირღვევა და ისპობა ძველი მთავრობა, ახალი კი ჯერ არსად არის. სრული არევ-დარეულობაა ყოველის მხრით და კიდევ უარესია მოსალოდნელი. ასეთ დროს საჭიროა თავის დაცვა, მომზადება, შეიარაღება. ამის მოწყობა მოვალეობაა იმ დაწესებულებისა, რომელსაც უკისრნია მცხოვრებთა მოვლა-პატრონობა. გვეგონა, რომ ტფილისის საბჭოს ცოტათი მაინც შეგნებული ჰქონდა თავისი მოვალეობა და დროზე მოაწყობდა სახალხო მილიციის საქმეს. 29 აგვისტოს საბჭოს ბინა შეღებეს ჯალათებმა ხალხის სისხლით, ამას ბევრი რამ უნდა ეთქვა ჩვენი ხმოსნებისათვის და მათ დაუყოვნებლივ უნდა მიეღოთ ზომები მცხოვრებთა დასაცველად და თუ თვითონ არ შეეძლოთ, საშუალება მიეცათ სარევოლიუციო პარტიებისთვის, მაგრამ გრძნობა დაკარგულ ხმოსნებს არაფერი უთხრა 29 აგვისტომ.

ვითომ მოინდომეს პროტესტის გამოცხადება, ხალხის ხმით შეშინებულებმა ვითომ უარი განაცხადეს ხმოსნობაზე, მაგრამ ისევ უკან დაბრუნდნენ, რადგან უფრო შეეშინდათ შირინკინის წყრომისა. 17 ოქტომბერს თავისუფლება გამოცხადდაო, და ამით დაკმაყოფილდნენ ჩვენი მეშჩანები. დაკმაყოფილდნენ მით უმეტეს, რომ დარწმუნებულნი არიან, რაც თავისუფლებაა, სულ ჩვენი წყალობითაა მოპოვებულო. დაუბრუნდნენ სისხლით შეღებილ სახლს და გამართეს გაცხარებული კამათი იმის შესახებ, თუ როგორ მოვიხმაროთ და გავინაწილოთ მოპოვებული თავისუფლებაო. უკუაგდეს ყოველივე თავმოყვარეობა და სირცხვილი და წამოსხდნენ სისხლიან სკამებზე, რომ „მამობა“ გაუწიონ ხალხს, იმ ხალხს, რომელსაც არ ამოურჩევია ისინი, რომელიც არაფერში ენდობა მათ.

ხალხი თხოულობს ხმოსნების გადადგომას, რომ აირჩიოს ნამდვილი წარმომადგენლები საყოველთაო კენჭის ყრით. ხალხი თხოულობს იარაღს, რომ თავი დაიცვას ხულიგანებისა; ჯალათებისაგან, თავიდან აიცდინოს 29 აგვისტოს და 22 ოქტომბრის დღეები. ჩვენი ხმოსნები კი მოსვენებით სხედან და ლამაზ-ლამაზ სიტყვებს ლაპარაკობენ ძმობასა და ერთობაზე! ყოველ მოთმინებას აქვს საზღვარი. რას უცდიან ჩვენი ხმოსნები? იმ დროს, როდესაც მუშა ხალხი ძალით გაჰრეკავს მათ?!..

სიტყვა

არცხვენენ გურულების სახელს. სულითა და გულით გვინდა ამ სენის მოსპობა და კიდევაცვეცდებითო“..

ამით დასრულდა ეს ბაასი უმაღლეს საგუბერნიო ადმინისტრაციის წარმომადგენლსა და ხალხ შორის.

* *

სხვათა შორის ბ-ნ ყიფშიძეს წარუდგნენ მეურმე-მუშები და შემდეგი შესჩივლეს: ოცამდის მეურმემ პლასტუნების ბარკი ჩამოვზიდეთ ნატანებიდან ოზურგეთამდე: აღგვითქვეს ქირა, მაგრამ არ იქნა და ვერ მივიღეთ სავსებითო. ბ-ნმა ყიფშიძემ აღუთქვა დახმარება.

შემდეგ ბ-მა ყიფშიძემ ინახულა ადგილობრივი მოხელენი, შესაფერი ინსტრუქციები მისცა და ნაშუადღევის მეოთხე საათზე ჩოხატაურის გზით ქუთაისს წავიდა.

* *

გუშინ, 17 ნოემბერს, გაიფიცნენ აქაური ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი მთელის რუსეთის ფ.-ტ. მოხელეებთან ერთად, რომელთაც, როგორც მოგეხსენებათ, დურნოვო და სევასტიანოვი ნებას არ აძლევენ კავშირის შედგენისას. თუმცა თანავუგრძნობთ პატიოსან მუშაკთ და თუმცა გაფიცვებს ძალიან შევეჩვიეთ, მაგრამ მაინც გაგვიძნელდა: უგაზეთობამ შეგვაწუხა მეტად; ამისთანა დროს ვართ მოწყვეტილი, არაფერი ვიცით, რა ხდება ქვეყანაზე. არ იქნება ურიგო, მატარებლებს გამოატანონ გაზეთები, სანამ ფოსტა დაიწყებდეს მუშაობას.

* *

სამხედრო წესები მოისპოო, გამოგვიცხადეს, მაგრამ ოზურგეთს ეს ნაკლებ დაეტყო. საღამოს 6 საათის შემდეგ ქუჩებში ველარ გაგვივლია; ყაზარმების ახლო, მაგალითად, არავის არ უშვებენ, ფოსტასთან დიდის გაჭირვებით თუ გაივლით. **უცნობი**

არა ჩვეულებრივი ამბავი ქუთაისში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

მოკლედ უკვე გაცნობეთ უდროოდ დაკარგულ საბა კლდიაშვილის დასაფლავების ამბავი. იმდენად საყურადღებოა ეს დასაფლავება, რომ ახლა გაწვდით უფრო დაწვრილებით ცნობებს.

თორმეტი საათი სრულდებოდა, როდესაც ქუთაისის სადგურიდან გამოჩნდა სამგლოვიარო მატარებელი. ორთქლმავალი და ორი ვაგონი შემკული იყო· წითელის დროშებითა და ყვავილებით. ორთქლმავალს წინ აფარებული ჰქონდა შავი დროშა, რომელზედაც წითელის ასოებით ეწერა: „სიმართლისა და თავისუფლების მოპოებისათვის ბრძოლაში დაღუპულს“. ორთქლმავალსა და ვაგონებზე იდგნენ ყმაწვილი კაცები წითელის დროშებით.

მატარებელი გაჩერდა. იმ ვაგონში, რომელშიც ცხედარი ესვენა, დიდ-ძალი ხალხი იყო. ნახევარი საათი გვირგვინების გადმოლაგებას მოუნდნენ. შემდეგ ცხედარი ვადმოასვენეს და სადგურის ბაქანზე დაასვენეს. სამღვდელოებამ წესი აუგო, რის შემდეგაც დეკ. მ. კეკელიძემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა და დაასურათა განსვენებულის ხან მოკლე, მაგრამ ნაყოფიერი მოღვაწეობა. ამის შემდეგ ქუთაისში მყოფმა ებრაელთა საოპერეტტო დასმა კუბო გვირგვინით შეამკო და ძველ ებრაულ ენაზე უგალობა სამგლოვიარო საგალობელი: „ჰეილ მოლო რახმიმ“. აქავე სიტყვები წარმოსთქვეს ს. ხუნდაძემ და ორმა სხვამ.

დაიძრა სამგლოვიარო პროცესია. წინ პროცესიას ოთხი ცხენოსანი მხედარი მიუძღვოდა, შემდეგ მიჰქონდათ გვირგვინები, რომელთა რიცხვი ორასამდე იყო. მათ მისდევდნენ მუშები აქაური, სამტრედიისა და ბათუმის რკინის გზის დეპოებიდან ჩამოსულნი; მუშებს წინ მიუძღვოდა სამტრედიის დეპოს მემუსიკეთა გუნდი, რომელიც ცხედარს ბათუმში მიეგება, შემდეგ მიდიოდა 200 კაცი, წითელ რაზმის წევრნი, ბერდანის თოფებითა და რევოლვერებით შეიარაღებულნი. ამათ მისდევდნენ რეალურ სასწავლებლის მოწაფენი თავიანთის დროშითა და მუსიკით. მიჰქონდათ ცხედარი, რომელსაც მისდევდნენ განსვენებულის ჭირის უფალნი და ნათესავნი. მერე მიდიოდა სტუდენტობა, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მოსწავლენი, გიმნზიელები დროშითა და მუსიკით, პირველ და მეორე საქალაქო სკოლის მოწაფენი დროშითა და მუსიკით, ბოლოს დიდძალი საზოგადოება, რომლის რიცხვი 30 ათას კაცს აღემატებოდა.

გზა და გზა სახლების მოაჯირები და სახურავები სავსე იყო ხალხით. პროცესიაში შიგა და შიგ მგალობელთა ოც გუნდამდე იყო, რომელნიც გალობდნენ მარსელიეზას და სხვა სარევოლიუციო სიმღერებს. ამ წესით სამგლოვიარო პროცესია საკათედრო ტაძართან მივიდა. აქ სიტყვები წარმოთქვა თხუთმეტამდე ორატორმა. სთქვეს სიტყვები ქართულად და რუსულად. სიტყვა წარმოსთქვა ერთმა ებრაელმაც, რომელმაც ცხედარს შეჰფიცა, არ მოვისვენებთ და არ დავწყნარდებით იმ დრომდე, სანამ შენს უმანკო სისხლს ერთი ათასად არ ავიღებთ საზიზღარ მტრისაგანო.

სიტყვების გათავების შემდეგ პროცესია იმავე რიგით და წესით გაემართა მიხეილის ქუჩისაკენ და ცხედარი მთავარ ანგელოზის ეკლესიაში მიასვენა. აქ კიდევ წარმოითქვა სიტყვები, ილაპარაკა ათამდე ორატორმა, და სრული ოთხი საათი იყო, როდესაც ცხედარი მიწას მიაბარეს ამავე ეკლესიის გალავანში.

ამ დღეს მთელი ქუთაისი დაკეტილი იყო. არ დარჩენილა არც ერთი დაწესებულება, საზოგადოება, ხელოსნები, სასწავლებლები, მოსწავლენი, მოხელენი, რომელთაც კუბო გვირგვინით არ შეემკოთ. წესიერებას იცავდა ქუთაისის სოც.-ფედერალისტთა კომიტეტი. არც ერთხელ წესიერება არ დარღვეულა. სობოროსთან სიტყვა წარმოსთქვა, სხვათა შორის, წითელი რაზმის წარმომადგენელმა. ორატორს თოფი ხელში ეჭირა, რის გამოც იმის ამხანაგებმა თოფები მაღლა ასწიეს. აი, მხოლოდ ამ დროს მოულოდნელად ხალხი აირია, მაგრამ წეს-რიგის დამცველთ მალე დაამშვიდეს.

მიცვალებულის პატივ-საცემად დელეგატები ჩამოვიდნენ გურიიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან.

რუსეთი

გლეხთა მოძრაობა. თუმცა საზოგადოდ რუსეთში გლეხთა მოძრაობას ჯერჯერობით მშვიდობიანი ხასიათი აქვს, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც იფეთქებს ხოლმე ძველი სურვილი განადგურებისა. მაგალითად, კურსკის გუბერნიის ს. სუჯიდან იუწყებიან, რომ იქ ორ სოფლის საზოგადოებას აუკლია და გადაუწვავს 11 მამული (ეგრედ წოდებული ეკონომია).

გარდა ამისა გაზ. „ნ. ჟ.“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს ატკარსკის მაზრის გლეხთა მოძრაობის შესახებ: აქ აგრარული მოძრაობა გაზაფხულზე დაწყებულა. მოძრაობა დაიწყო იმითი, რომ გლეხობამ საქონელი გამორეკა მემამულის საბალახოზე, მოსთიბა ბალახი და გაჰკაფა ტყე. მემამულის მომუშავეებმა და პოლიციამ სცადეს გლეხთა შეყენება. მოხდა შეტაკება ჯარსა და პოლიციასთან. ტყეების კაფვა და საქონლის სხვის ბალახზე გამორეკა ისე გახშირდა, რომ მემამულეებმა თავი მიანებეს და გლეხებს აღარ უშლიდნენ არაფერს. როდესაც მკა დაიწყო, გლეხებმა ჭირნახულის წაღებაც მოინდომეს. სადაც ამას ვერ ახერხებდნენ, იქ სწვავდნენ ჭირნახულს. ამიტომ ზოგიერთმა მემამულემ ყაზაყები მოიყვანა თავის ხარჯით და ჩააყენა მამულში. ყაზახებმა თავის ქცევით ძალიან გაამწარეს გლეხები, ასე რომ შემოდგომაზე მემამულეთა ბეღლებსაც კი მიჰყვეს ხელი. მერე დროებით დამშვიდდნენ და დაიწყეს თავის საქონლის ყიდვა, რადგან საკვები არა ჰქონდათ. აქ გლეხობა ყველაზე ძლიერ დაიმშა, რადგან სათესლეც კი არ მოუვიდათ, აი ამიტომ იფეთქა მალე და ძლიერ აგრარულმა მოძრაობამ. გლეხებმა დაიწყეს ისევ მემამულეების ძარცვა. მთელი საზოგადოებები შეერთდებოდნენ და ისე ეცემოდნენ მემამულეებს. მიჰქონდათ პური, სწვავდნენ შენობებს და ერეკებოდნენ საქონელს. დაეცნენ წისქვილსაც და უნდა გადაეწვათ, მაგრამ წისქვილის პატრონმა 1000 მანეთი მისცა და იმით დაიხსნა თავისი ქონება. სადგურ ლიპუხოვკას დასცემიან და გზაზე დარჩენილ ვაგონიდან გაუტანიათ სხვა და სხვა საქონელი. რკინის გზის მოხელეები დიდ შიშში იყვნენ. ერთი სოფლის საზოგადოების გლეხებს 12000 ფუთი პური წაუღიათ. ორგან გაუტეხიათ არყის დუქანი. მეორე საზოგადოების გლეხებს წაუღიათ 10000 ფუთი.

ამ ჟამად მაზრა გაყოფილია ნაწილებად და ყოველ ნაწილში ჩაყენებულია თითო რაზმი სალდათებისა, ყაზახრუსებისა და დრაგუნებისა. გლეხების შეპყრობა ძალიან გახშირდა. ყოველდღე მიჰყავთ მრავალი ტუსაღი. საპყრობილე და საპოლიციო ნაწილები სავსეა. თითო მატარებელს სარატოვში 2—3 ვაგონი მოსდევს ტუსაღებით სავსე. ამ ბოლო დროს გლეხობაში განხეთქილებაა და ორ მხარეს შორის შეტაკებებიც კი ხდება. ამას წინად ვილაცამ ხმა დააგდო, რომ ერთი ნაწილი გლეხობისა ეკკლესიის აკლებას ფიქრობსო: მეორე ნაწილი მოემზადა წინააღმდეგობის გასაწევად და, როდესაც პირველნი შეიკრიბნენ საჩაიეში, მეორენი დაეცნენ. მოხდა შეტაკება. 3 მოკვდა და ბევრი მძიმედ დაშავდა.

მიტინგი

ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ეს მიტინგი მოხდა ვერაზე, საარტილერიო ყაზარმებს იქით. მიტინგს დაესწრო სამას კაცზე მეტი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ტვერდოხლებოვი, მდივნად—გორსკი. კრებამ პირველად წაიკითხა გაზეთების აზრი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირისა და გაფიცვის შესახებ. შემდეგ განხილულ იქნა ის პროგრამა, რომელიც გუშინ მოვიყვანეთ.

მიტინგმა უარჰყო ბ-ნ ზაიცევის წინადადება რამდენისამე ტეხნიკოსის დანიშვნის შესახებ. ამ ჟამად ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში მუშაობენ სალდათები, რომელთაც ყველაფერი არიეს და აწეწ-დაწეწეს. ტეხნიკოსები სწორედ ამ არეულ და აწეწილ საქმის მოსაწესრიგებლად უნდოდათ, მაგრამ კრებამ ერთხმად უარჰყო ეს წინადადება.

შემდეგ შეეხნენ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწის ივანოვის და მთავარ მექანიკოსის, კრასოვსკის, უკადრისს საქციელს. მიტინგმა დაადგინა: გამოუცხადოს ზიზღი და მძულვარება ივანოვს; მოითხოვოს იმისა დათხოვნა; აცნობოს იმისი საქციელი ინჟინერთა კავშირს, სადაც ივანოვი წევრად ითვლება. კრასოვსკის გამოუცხადოს მხოლოდ განკიცხვა.

გაფიცვის დროს დასჯილთა შესახებ მიტინგმა დაადგინა, საქმის გამორკვევის შემდეგ მოითხოვოს მათი უკანვე მიღება. თუ ეს მოთხოვნა არ იქნა შესრულებული, გამართოს ხელ-ახალი გაფიცვა. მოღალატეთა შესახებ, კრებამ დაადგინა, მოითხოვოს მათი დათხოვნა.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ მხარი დაუჭირეს რკინის გზის ტელეგრაფისტებმაც. მიტინგმა დაადგინა, პრესსის შემწეობით მადლობა გამოუცხადოს ხსენებულ ტელეგრაფისტებს; ამასთან რკინის გზის ტელეგრაფისტთა გაფიცვის ამბავი აცნობოს მთავარ ბიუროს.

მიტინგმა აღნიშნა ის გარემოება, რომ საზოგადოება და პრესსა თანაგრძნობით ეკიდება და მხარს უჭერს გაფიცვას. ამასთან იმედი გამოსთქვა, რომ პრესსა და საზოგადოება შემდეგაც ასე მოგვეპყრობაო. თანაგრძნობა გამოუცხადა კრებამ სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირს.

მიტინგმა დაადგინა, სახაზინო პალატის გამგეს მიხაილოვს გამოუცხადოს ზიზღი მოხელის ნევეროვიჩის დათხოვნისათვის და მოითხოვოს ამ მოხელის უკანვე მიღება.

მიტინგმა აგრეთვე დაადგინა, მოითხოვოს სრული ამნისტია პოლიტიკურ საქმეებისთვის დაპატიმრებულთა.

როგორც მიტინგზე გამოირკვა, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას აზრადა აქვს, მოხელეთ მისცეს მხოლოდ ნახევარი თვის ჯამაგირი (16 ნოემბრამდე)- მიტინგმა ერთხმად დაადგინა: უარი განაცხადოს ჯამაგირის ნაწილის მიღებაზე.

დასასრულ მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მიტინგმა, საოლქო ბიუროს მიერ მოწვეულმა ამავე ბიუროს პროგრამის განსახილველად, დაადგინა: ზიზღი და მძულვარება გამოუცხადოს დურნოვოს, სევასტიანოვს და იმათ კრეატურებს; განაგრძოს ეს ერთსულოვნად დაწყებული ბრძოლა იმ დრომდე, ვიდრე დაკმაყოფილებული არ იქნება მთავარ ბიუროს ყველა სამართლიანი მოთხოვნილება“.

წერილები.

ს. ქუხი. 30 ოქტომბერს მოხდა კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა. დაესწრო 400-მდე წევრი. თავმჯდომარეობდა მიხეილ ბახტაძე.

კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა: 1. 1095 წლის ანგარიში (ნახევარი წლის ოპერაციისაა) მიიღო უცვლელად და დაამტკიცა; 2. აარჩია ახალი გამგეობა, ნაცვლად ძველისა. გამგეობის წევრებად ერთი წლის ვადით არჩეულ იქმნენ: გამგე—დირექტორად კონსტანტინე ჭინჭალეიშვილი (წლიურად დაუნიშნეს 300 მანეთი) წევრებათ—გიორგი მაჭარაძე (იმავე ჯამაგირით) და ალექსანდრე ვაჭარაძე. უკანასკნელი მხოლოდ საჭიროების დროს იქნება მიწვეული სხდომებსა და ამხანაგობის ზოგიერთ საქმეზე, რისთვისაც დღეში ჯამაგირად მიიღებს თითო მანეთს. 3. კრებამ დაავალა გამგეობას საჭიროების დროს მიიწვიოს საბჭოში მონაწილეობის მისაღებად ერმალოზ კიწმარაშვილი წასვლა-მოსვლის ხარჯის მიცემით და იოსებ ქუთათელაძე; 4. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ უსასყიდლოდ: იასონ პავლეს ძე ბახტაძე, ილია ბახტაძე და მიხეილ გიორგისძე კაკაბაძე; 5. კრებამ საჭიროდ სცნო ნესტორ წერეთლის, როგორც ამ ამხანაგობის დამაარსებელის, სახელობაზე ფონდის დასაარსებლად გადასდონ ხუთი თუმანი; 7. მეთესლე ხრისტოდულიდის შესახებ, რომელიც ამხანაგობას თესლის ფასს 11 ათასს მანეთს ედავება, კრებამ შემდეგი დაადგინა: მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა 1897 წლიდან საუკეთესო მუშტარია ხრისტოდულიდისა, რომელსაც ამხანაგობამ გაუსაღა 72,000 კოლოფი თესლი, ღირებული 129204 მანეთად; ამის გამო ამხანაგობას უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ ხრისტოდულიდი საჭიროების დროს დახმარებასაც გაუწევდა; მაგრამ არა თუ არ დაეხმარა, პირიქით პირობასაც არღვევს ამხანაგობის საზარალოდ და თავისთავს მოვალედ არა რაცხს, პირობის ძალით, ზარალი უზღოს. მეთესლე ფულს სავსებით თხოულობს და თამასუქს საკომისიოდ აძლევს ბანკს და პროტესტში უშვებს. მეაბრეშუმეთა ამხანაგობის წევრნი სამართლიანად აღშფოთებულნი ხრისტოდულიდის საქციელით, ბოიკოტს უცხადებენ იმის თესლს და პირობას სდებენ, არ შეიძინონ იმისაგან თესლი და არც სხვას შეაძენინონ (მით უფრო, რომ შარშან იმისი თესლი საზარალო გამოდგა) იმ დრომდე, ვიდრე ხრისტოდულიდი არ მოურიგდება ამხანაგობის გამგეობას დადებულ პირობაში. რადგან, უდროობისა გამო, ამ დღეს აღარ მოხერხდა გამგეობის წევრების კანდიდატთა არჩევა, კრების გაგრძელება გადაიდო 8 ნოემბრისათვის.

8 ნოემბერს კრება შესდგა და გამგეობის წევრებად აირჩია ონისიმე შავლაყაძე; სარევიზიო კომისიის წევრის იასონ ბახტაძის ნაცვლად, რომელმაც პირველ კრებაზე უარი განაცხადა, არჩეულ იქნა ლუკა ვაჭარაძე. **დამსწრე წევრი**

ნატახტარი (დუშ. მაზრა). 18 ნოემბერს სოფელ ნატახტარში დანიშნული იყო კრება ოთხი სამამასახლისოსი—მცხეთისა, მისაქციელისა, წილკნისა და წეროვნისა. შეიკრიბნენ მარტო მამასახლისები და „პოვერნიები.“ ერთმა მამასახლისმა აცნობა კრებას, მცხეთის ბოქაულმა დაგვიბარა მამასახლისები გუშინ და გადმოგვცა, რომ საჭიროა ამოირჩიოთ ერთი კაცი დუშეთში გასაგზავნადო. მამასახლისმა თავისით დასძინა. ეს კაცი უნდა იყოს გლეხთაგანი მართალი და მცოდნე ქვეყნის ვითარებისაო. არც ბოქაულს, არცარავის სხვას არ აუხსნიათ რად იგზავნება ეს კაცი დუშეთში, რა უნდა დაავალოს ხალხმა, ან რაზე უნდა სთქვას მართალი. საკვირველიც არ იყო, რადგან ბოქაულს გამოუცხადებია მცხეთაში 16 თუ 17-ს, ამ თვის დაუნიშნია კრება და 19 ნოემბერს-კი არჩეული კაცი დუშეთში უნდა გამოცხადებულიყო. ზოგმა მამასახლისმა სთქვა, რომ ვერ მოვასწარ ზარი ჩამომეკრა და მარტო „პოვერნიებს“ გადავეციო. კრებამ გონივრულად გადასწყვიტა—დღეს დავიშალნეთ, სიჩქარით საქმე არ წავახდინოთ, ვაი თუ რაიმე ხაფანგი გვეგებოდეს, წავიდეთ სოფლებში, დავეკითხოთ ნასწავლს კაცებს, გავიგოთ იმათი აზრი ამ საქმეზე, შევყაროთ კომლზე ქალი და კაცი, გამოვიკვლიოთ საქმე და მას შემდეგ შევიყარნეთ ისევ აქ ნატახტარშიო. აქვე ამოარჩიეს კაცები და გაჰგზავნეს საგურამოში არაგვის გაღმა, შეეტყობინებინათ თავიანთი გადაწყვეტილება და შეეტყოთ იმათი აზრი. ერთის საათის შემდეგ გამოვიდნენ გაგზავნილი კაცები და შეატყობინეს, რომ იქაც უარი სთქვეს ამორჩევაზეო, ამის შემდეგ ხალხი დაიშალა.

როგორც გამოირკვა, ეს სამამასახლისოები სრულებით მოუმზადებლები არიან. არაფერი ეტყობათ ახალ მოძრაობისა. ზოგნი შიშმაც-კი აიტანა, რომ ბოქაულის ბრძანებას არ ვასრულებთო. თვით სოფ. ნატახტრელებს უნდა გრცხვენოდეთ. საკვირველია, ქალაქის პირათ სოფელია და ასე მიყრუებული-კია. გამოფხიზლება სჭიროა ამ ხალხს. საჭიროა მრავლად დაესწრნენ მომავალ კრებას და ეცადნენ არც ერთი სიტყვა არ გამოეპაროთ. რასაც ეხლა გაიტან, ის შეგრჩებათ საუკუნოდ.

როგორც გავიგეთ, კრებას წარმომადგენელი უნდა აერჩია დუშეთის სამაზრო საერობო საკრებულოში გასაგზავნად. დუშეთში თავის დროზე არ მომხდარა საერობო თათბირი და ეხლა უნდა მოახდინონ, ბოქაულმა ის-კი გამოუცხადა, რომ კაცი აირჩიეთო და კი არ აცნობა, რისთვის და რა საქმისთვის. ასეთები არიან ჩვენი პატარა ბიუროკრატებიც-კი, ისიც ეხლა, ამ საზოგადო მოძრაობის დროს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 23 ნოემბერს, 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა არხის გაყვანის საქმე კოჯრისა და ბებუთოვის ქუჩებზე, მე-4 ნაწილში, 98 ს. ბეტონის მილი 0.25+0. 16. 3 მილების საშინჯი ჭა.

წერილობითი განცხადებანი ფასის აღნიშვნით უნდა წარედგინოს დაბეჭდილ კონვერტებში 23 ნოემბრამდე. (3—6.—2)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.პ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. გაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, ლ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფი:ი, თარგმანი სომხურიდან კ. ევანგულოვისა	1	—

„ცოდნა ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.

სი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(წლ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისთვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიიღო რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობამ

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისამ

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშებს

[illegible]

„1860“ და სიტყვა

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

[illegible]

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.